

# ხობის მოამბე

№12 (7054) * 14 ივნისი, სამშაბათი * 2011 წელი.

ფასი 50 თეთრი


## „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერა თბილისში

*ჩვენ ვართ ერი, რომელსაც აქვს უნიკალური ნიჭი გაუძლოს ყველა გასაჭირს და რა ქარტეხილმაც არ უნდა გადაუაროს, რა ქარიშხალმაც არ უნდა წააქციოს, წამოდგეს ფეხზე და ცხოვრება განაგრძოს ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.*

*ვფიქრობ, ეს არის ჩვენი გადარჩენის მთავარი მიზეზი.*

*ყველაფრის მიუხედავად, შევინარჩუნეთ ჩვენ მრავალეთნიკური ერთობა და მრავალფეროვანი კულტურა, გახსნილობა და მუდმივი ლტოლვა ცივილიზებული სამყაროსკენ. ასევე შევინარჩუნეთ წარმოუდგენელი უნარი ყოველთვის გავიმართოთ წელში, ყოველთვის წამოვდგეთ ფეხზე.*

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი*




***პრემიერაზე თბილისში ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ რეჟისორი რენი ჰარლინი და მთავარი როლის შემსრულებელი ენდი გარსია ჩამოვიდნენ. თვითმფრინავიდან ჩამოსული რენი ჰარლინი მიწაზე გაწვა და საქართველოს ეამბორა:***

–„როდესაც პირველად ჩამოვედი, ზუსტად არ ვიცოდი, როგორი ფილმი უნდა გადამეღო, ვესაუბრებოდი ომის დროს დაზარალებულ ხალხს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, ყველას, ვისაც ჩემთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეეძლო. შედეგად, დაგროვდა მასალა, რომელიც სცენარად, სცენებად, კადრებად იქცა. ამ ფილმით მინდოდა, გამომეხატა ჩემი სათქმელი თქვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის მხრიდან გამოვლენილ აგრესიაზე. მეც პატარა ქვეყნიდან გახლავართ. ფინეთში, საქართველოს მსგავსად, 5 მილიონი მოსახლე ცხოვრობს. რუსეთის წინააღმდეგ ჩემს წინაპრებსაც უბრძოლიათ და ისინი ამაყობენ, რომ მე ეს ფილმი გადავიღე,“–ამბობს რეჟისორი.

დაახლოებით იგივე განწყობა ჰქონდა ენდი გარსიასაც, რომელმაც ჟურნალისტებს უთხრა: „ამ ფილმში აღწერილი ამბავი მხოლოდ ერთი ქვეყნის ისტორიის ფრაგმენტი არ გახლავთ, ჩემთვის ეს უფრო ზოგადი ამბავია, რომელიც, სამწუხაროდ, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს. „აგვისტოს 5 დღეს“ ომის საწინააღმდეგო ფილმად ვაფასებ. თავად კუბიდან გახლავართ, იმ ქვეყნიდან, რომელიც წლების განმავლობაში და ახლაც გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას. ამიტომ ჩემთვის კარგად ნაცნობია გრძნობა, როდესაც ადამიანის ან ქვეყნის თავისუფლებას ეხებიან. ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მშვიდობა და თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებებია.”

„აგვისტოს 5 დღის“ გადამღები ჯგუფისა და მსახიობების ნაწილის გარდა, თბილისში ფილმის პრემიერაზე დასასწრებად შერონ სტოუნიც ჩამობრძანდა. მსახიობს აღნიშნულ ფილმთან კავშირი არ აქვს, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი აქ ყოფნა უადგილოა–მსგავსი სინჯის ვარსკვლავების პრემიერაზე მოწვევა მიღებული ფორმაა, მით უმეტეს, რომ შერონ სტოუნს საქველმოქმედო მიზნებიც ამოძრავებდა. ის თბილისში საკუთარი სურვილით ჩამოვიდა და ფილმის ჩვენების შემდეგ რუსთაველის თეატრში გამართულ საქველმოქმედო მიღებასაც უმასპინძლა.

* * *

ჰოლივუდის ვარსკვლავი შერონ სტოუნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა.

პატრიარქმა სტუმართან ხელოვნებაზე ისაუბრა და საკუთარი ნაწარმოებები–„ავე მარია„ და „სანქ-ტუსი“ მოასმენინა. ჰოლივუდის ვარსკვლავს ილია მეორემ მის მიერვე დაწერილი ხატები დაათვალიერებინა და ღვთისმშობლის ხატი აჩუქა.

* * *

რუსთაველის თეატრში გამართულმა საქველმოქმედო წვეულებამ, რომელსაც ჰოლივუდის მეგავარსკვლავები შერონ სტოუნი და ენდი გარსია ესწრებოდნენ, 1,5 მილიონი ლარი შეაგროვა.

წვეულებაზე მოსაწვევი 5.000-იდან 10.000 დოლარამდე ღირდა. ფული ქართველმა ბიზნესმენებმა გაიღეს. თანხას 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში დაღუპული გმირების ოჯახებს ბიზნესასოციაცია გაუნაწილებს.

## ხობელი ახალგაზრდები პროგრამა „პატრიოტის“ ეგიდით ანაკლიაში გაემგზავრნენ




*წლევანდელი ახალგაზრდა „პატრიოტთა“ ბანაკი განსაკუთრებული იქნება როგორც არასდროს... „პატრიოტთა“ ბანაკი უკვე ბევრი ქვეყნის ბანაკს სჯობია და იმედი მაქვს, რომ ეს ტენდენცია კიდევ უფრო მძლავრად გაგრძელდება.*

***ვლადიმერ ვარძელაშვილი***

ფოტო არქივიდან



პროგრამა „პატრიოტი“ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2005 წლიდან მოქმედებს. ამ პროგრამით ახალგაზრდები სპორტულ, კულტურულ შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში ერთვებიან და საკუთარ შესაძლებლობებს უზიარებენ ერთმანეთს.

ახალგაზრდული პროგრამა „პატრიოტის“ მიზანია სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სწორედ ამ მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის 15 ახალგაზრდამ 6 ივნისს ახალგაზრდულ ბანაკ „ანაკლიას“ მიაშურა, სადაც საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამა „პატრიოტი“ ხორციელდება. ბანაკი „ანაკლია“ ოფიციალურად 1 ივნისს გაიხსნა. ხობელი ახალგაზრდები ბანაკის მე-2 ნაკადის წევრები გახდნენ...

ბანაკი მოწყობილია ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ყოველ წელიწადს სიახლეებს სთავაზობს ახალგაზრდებს.

ბანაკში მონაწილეთა შერჩევაშიც სიახლეები გაჩნდა. წელს ახალგაზრდებმა თვითონ შეავსეს ონლაინ-სააპლიკაციო ფორმები და კითხვარზე გაცემული პასუხების საფუძველზე იქნენ შერჩეულნი. პროგრამაში მონაწილეობას იღებენ ხობის მუნიციპალიტეტის 14-17 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდები და ისინი 10 დღის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად გაიღრმავებენ განათლებასა და პატრიოტულ სულისკვეთებას.

**სურათზე: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პატრიოტებთან. 2005 წელი, ქ. ხობი. მერი ლაგვილავას ფოტო**

## უნიკალური აღმოჩენა ხობის მონასტერში



ხობის მონასტერში მეცნიერებმა წმიდა ნინოს ფრესკა აღმოაჩინეს. ფრესკის გვერდზე კარგად იკითხება ქართველთა სათაყვანებელი წმინდანის სახელი „ნინო“. წინასწარი ვარაუდით ფრესკა XVI საუკუნით დათარიღდა, იგი წმინდა ნინოს ყველაზე ადრინდელი ფრესკაა სამეგრელოში, ეს ადასტურებს დიდი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ გვიან შუა საუკუნეებში დაქუცმაცებულ და გათითოკაცებულ საქართველოს დედა–ეკლესია აერთიანებდა.

## კოკისპირულმა წვიმამ ღელეებისა და მდინარის უეცარი ადიდება გამოიწვია

კოკისპირულმა წვიმამ, რომელმაც ღელეებისა და მდინარის შენაკადების უეცარი ადიდება გამოიწვია, პრობლემები შეუქმნა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებსა და სასოფლო- სამეურნეო სავარგულებს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ხამისქურის, ხეთის, პირველი მაისის, ნოჯიხევის ტერიტორიულ ერთეულებში დაათვალიერა დატბორილი ნაკვეთები, გამწოვი კოლექტორები, არხები. გამგეობის რწმუნებულებს მიეცათ დავალება მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმში გადასვლისა, რაც წვიმის შესაძლო გაგრძელებასთანაა დაკავშირებული.



# მიხეილ სააკაშვილი–არსებული ორი მოდელი: პუტინის სტაბილურობა და ელცინის ქაოსი, საქართველომ მესამე მოდელით ჩაანაცვლა



„საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე არსებობდა ორი მოდელი: ერთი არის პუტინის სტაბილურობა, ხოლო მეორე–ელცინის ქაოსი. საქართველომ კი, ყველას აჩვენა მესამე მოდელი, რომელიც სრულ განვითარებას, ახალი სასტუმროების, ახალი ბულვარის, ულამაზესი ხიდის მშენებლობასა და ბევრ სხვას გულისხმობს“,–განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში სტუმრობისას.

მისივე თქმით, ქვეყანამ, რომელიც არის დემოკრატიული და თავისუფალი, პოსტსაბჭოთა ხალხს ეს აღმავლობა დაანახა.

„ადამიანები, რომლებიც საქართველოში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკიდან ჩამოდიან, ამბობენ: მესამე მოდელი ნამდვილად არსებობსო. ჩვენც სწორედ ამიტომ ვართ მათთვის საშიში და ამის გამო ეშლებათ ნერვები“,–აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, აღნიშნული ორი მოდელი ეფუძნებოდა ერთა შორის განსხვავებას, ერთა დაყოფას და ერთმანეთზე გადაკიდებასა და დაპირისპირებას, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა და კულტურის მქონე ადამიანებით მანიპულირებას და ამ მეთოდით მართვას. მესამე–საქართველოს მიერ შემუშავებული ახალი მოდელი კი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების გაერთიანებას გულისხმობს.

„ჩვენი სისუსტე იყო ის, რომ ყოველთვის გვაპირისპირებდნენ. როდესაც 90-იან წლებში რუსეთი აფხაზეთში ხელს აფათურებდა, ერთმანეთთან დააპირისპირეს ეთნიკური ქართველები, გალელები და ოჩამჩირელები, სოხუმელები და ზუგდიდელები, აფხაზები და ქართველები, სომხები და ქართველები... ესეც ჩვენი სისუსტე იყო და ამის შემდეგ, ხელის ფათური მათთვის ძალიან ადვილი გახდა. მაშინ რომ ის გამოცდილება გვქონოდა, რომელიც დღეს გვაქვს, რუსეთის იმპერია ვერაფერს დაგვაკლებდა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. უნდა ვისწავლოთ, რათა ჩვენ საწინააღმდეგოდ დღეს მაინც ვერავინ ვერ მოახერხოს ყოველივე ამით მანიპულირება. ის, რასაც აქ ვქმნით, სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში, რადგან მას გადამწყვეტი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს თავისუფლებისმოყვარე ყველა ერისთვის საქართველოს გარშემო. ამიტომ, აქ ჩემთვის არის პატარა უტოპია–ამ ულამაზეს ბულვარში თქვენ ხედავთ ველოსიპედის გზებს, ახალ აკვაპარკს, იალქნიან ნავებს, შადრევნებს... იცით, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი მეფე „შადრევან პირველს“ მიწოდებს და ეს სულაც არ მწყინს. ჯობია „შადრევან პირველი“ გიწოდონ, ვიდრე ჩინგიზ ხანი ან რომელიმე სხვა მსგავს მმართველს შეგადარონ. მინდა, რომ ყველამ გავითავისოთ–ყოველივე ეს იმისთვის კეთდება, რათა უკეთესად გავიცნოთ ერთმანეთი“,–აღნიშნა სააკაშვილმა.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის თქმით, პირადად მისთვის „თანასწორობის სტანდარტი არის ის, რომ შევცვალეთ ელიტური წყობა, რომლის პირობებში, ერთი და იგივე ათასი, ხუთი ათასი ან თუნდაც ათი ათასი კაცი ერთსა და იმავე ქუჩაზე, ერთსა და იმავე ადგილზე, წყვეტდა როგორ ეცხოვრა დანარჩენ 5 მილიონს და თქვენი აზრი სულ არ აინტერესებდა“.

„ეს, ერთხელ და სამუდამოდ, წარსულს ჩაბარდა. მათ არ აინტერესებდათ არც სხვა ქართველების, არც ქართველი აზერბაიჯანელებისა და არც ქართველი სომხების აზრი. ამ ერთობას დღეს ყველანი ერთად ვქმნით და მსურს, რომ ეს ბანაკი იყოს იმის სიმბოლო, თუ რას ნიშნავს მაღალი სტანდარტი, თუნდაც, რამდენიმე დღით“,–განმარტა საქართველოს პირველმა პირმა.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# ნიკა ჩიტაძე – დასავლეთის ზეწოლა რუსეთზე გაძლიერდება

პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის განცხადებით, საერთო რაკეტ საწინააღმდეგო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით, ნატო-რუსეთს შორის მოლაპარაკებების ჩაშლა, გადატვირთვის პოლიტიკაზე უარის თქმას არ ნიშნავს, თუმცა გარკვეულწილად შეცვლის დასავლეთის დამოკიდებულებას რუსეთისა და მის მიმდებარე გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონების მიმართ.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, ამ მოლაპარაკებების შედეგად დასავლეთმა კიდევ ერთხელ დაინახა, რომ რუსეთი არასანდო პარტნიორია.

„დასავლეთმა რამდენიმე შემხვედრი ნაბიჯი გადადგა რუსეთისკენ, მაგრამ რუსეთი კვლავ თავის არაკონსტრუქციულ პოლიტიკას ავლენს. ამიტომ დასავლეთისგან მოსალოდნელია პოლიტიკის შეცვლა. შეეცდება რუსეთს პოზიციები დაათმობინოს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ტერიტირიებზე. იგულისმხება საქართველოც. დასავლეთის, პირველ რიგში კი, აშშ-ს ზეწოლა ჩვენს მეზობელ ქვეყანაზე უფრო გაძლიერდება. ეს პროცესი საქართველოზე გარკვეულწილად დადებითად აისახება. თუმცა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების საკითხზე მოლაპარაკების ჩაშლა არ ნიშნავს გადატვირთვის პოლიტიკაზე უარის თქმას, რადგან ნატოსა და რუსეთს შორის გარკვეული შეხების წერტილები არსებობს.



მაგალითად ავღანეთის ტერორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების საკითხებში. როგორც ევროპაა რუსეთზე დამოკიდებული, ასევე რუსეთია დამოკიდებული დასავლეთზე. მას სჭირდება დასავლური ტექნოლოგიები, ეკონომიკა, თუნდაც გასაღების ბაზარი“,–აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას ნიკა ჩიტაძემ.

**„მედიანიუსი“**

# აშშ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 40 ჰამერი გადასცა



ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა საქართველოს 40 ერთეული ჰამმერ -ის ტიპის მანქანა გადასცა.

ჰამმერ–ის გადაცემის ცერემონია კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის ბაზაზე გაიმართა.

ამმერ-ების გადაცემის ცერემონიას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ ხარშილაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში კენტ ლოგსდონი ესწრებოდნენ.

1151 ტიპის (30 ერთეული) და 1151F1 ტიპის ჯავშნიანი (10 ერთეული) მანქანები გამოყენებული იქნება სამშვიდობო მისიისთვის მოსამზადებელ წვრთნებში.

მანქანებს ის ბატალიონი გამოიყენებს, რომელიც გაემგზავრება ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების მიერ წარმოებულ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში.

წვრთნების დასრულების შემდეგ ჰამმერ -ები საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება.

**„მედიანიუსი“**

## დაიჯესტი

# დავით ბაქრაძემ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი დივერსიული ფაქტები და საოკუპაციო ტერიტორიაზე არსებული ვითარება გააცნო.

ლონდონში, ვიზიტის დროს, ბაქრაძე ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერს და ქვეყნის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს შეხვდა. აქცენტები ბრიტანეთ-საქართველოს ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და საქართველოში ბრიტანული ინვესტიციების შემოსვლაზეც გაკეთდა.

„ამ შეხვედრაზე ჩვენი მხრიდან ორი ძირითადი საკითხი იყო დაყენებული. პირველი საკითხი უსაფრთხოებას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. მათ შორის იმ დივერსიულ აქტებს, რომელიც საქართველოში იგეგმება ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ჩვენი ბრიტანელი მეგობრები საქმის კურსში ჩავაყენეთ თუ რა როლს ასრულებს რუსეთის საოკუპაციო ჯარები ამ თვალსაზრისით. მეორე საკითხი იყო ეკონომიკური თანამშრომლობა, ბრიტანული ინვესტიციების გააქტიურება“,–განაცხადა ბაქრაძემ.

ბაქრაძის თქმით, გაერთიანებულმა სამეფომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთელ დააფიქსირა.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# ბაჩო ახალაია ნატოს თავდაცვის მინისტერიალში მონაწილეობს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ნატოს თავდაცვის მინისტერიალში მონაწილეობს. ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეხვედრა თავდაცვის მინისტრების დონეზე ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიხსნა.



თავდაცვის მინისტერიალი ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა. როგორც ალიანსის გენერალურმა მდივანმა წინასწარ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თავდაცვის მინისტრები ლიბიაში მიმდინარე ოპერაციის გარდა რეფორმების, თავდაცვის სფეროში ფინანსური რესურსების ეფექტურად დაგეგმვის და უსაფრთხოების ახალი გამოწვევების შესახებ იმსჯელებენ.

გაიმართა ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეხვედრა IiF -ის ოპერაციაში მონაწილე ნატო-ს არაწევრ ქვეყნებთან თავდაცვის მინისტრების დონეზე. მონაწილეები ავღანეთში სტაბილურობის დამყარების გზებზე და გარდამავალ (ტრანზიციის) პროცესზე ისაუბრებს. რასმუსენის განცხადებით, ალიანსის საბრძოლო მისია ეტაპობრივად მხარდამჭერი როლით შეიცვლება. ჯარების გაყვანა კი ორგანიზებულად და კოორდინირებულად იმ პრინციპების დაცვით მოხდება, რომელზეც IiFF -ის 48 პარტნიორი ქვეყანა შეთანხმდა.

მინისტერიალის ფარგლებში თავდაცვის მინისტრმა ორმხრივი შეხვედრები გამართა უცხოელ კოლეგებთან. დაგეგმილია შეხვედრა ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების სარდალ გენერალ დევიდ პეტრეუსთან.

**„მედიანიუსი“**

# საქართველოსა და გერმანიის საგარეო უწყებებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება



საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

ამ მიზნით გერმანიის დელეგაცია, რომელსაც საქართველოში ყოფილი ელჩი პატრიცია ფლორი უხელმძღვანელებს, თბილისში ჩამოვიდა.

„გერმანიასთან ჩვენ ძალიან დატვირთული სამუშაო გრაფიკი გვაქვს. საუბარი შეეხება არა მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებს, არამედ ამ ფორმატს გამოვიყენებთ პოლიტიკური საკითხების განსახილველადაც“,–განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულის გარდა, პატრიცია ფლორი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს, მათ შორის ოპოზიციონერ ლიდერებთან.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები ხობში

2011 წლის 8 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა გაეროს განვითარების პროგრამის (გგპ) წარმომადგენელთა შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე, საკრებულოს ბიუროს წევრები, გამგებლის მოადგილეები და გამგეობის სამსახურის უფროსები. შეხვედრის თემა იყო „თემის მობილიზაციის პროექტი ხობის მუნიციპალიტეტში''. საკრებულის თავმჯდომარე მიესალმა გაეროს განვითარების პროგრამის განხორციელებას ხობის მუნიციპალიტეტში და სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა პროექტის ორგანიზატორებს. გგპ-ის წარმომადგენელთა განმარტებით, მათი მიზანია, ყველა სოფელში ჩამოყალიბდეს თემის განვითარების გეგმის პროექტის შემმუშავებელი საინიციატივო ჯგუფი. წარმოდგენილი პროექტი განიხილება გგპ-ის, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ. მოწონებული პროექტი ნაწილობრივ დაფინანსდება გგპ-ის თემის ფონდიდან, ნაწილობრივ კი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გაეროს განვითარების პროგრამა ხორციელდება ხობის, სენაკის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქ ფოთში.

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ულოცავს მოზარდ თაობას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და უსურვებს სიხარულს, ბედნიერ მომავალს, მშვიდობას.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქ ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლისა და მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლთან არსებული შემოქმედებითი წრეების მოსწავლეები.

## ACF-IS ტრენინგი ხობში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციამ „შიმშილის წინააღმდეგ"(ACF) ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „სტრატეგიული დაგეგმვა და პროექტის შედგენა".

სწავლებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ თავიანთი სოფლის განვითარების პრიორიტეტების შესახებ პროექტი.

## „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას"–ფინალური ეტაპი დასრულდა



4 ივნისს, ქალაქ ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ინტელექტუალური კონკურსი.

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" ფინალური ეტაპი.

ინტელექტუალურ კონკურსში გამარჯვებული გახდნენ:

პირველ ასაკობრივ ჯგუფში - (V-VIII კლასი) სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა.

მეორე ასაკობრივ ჯგუფში - (IX-XII კლასი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის საჯარო სკოლა.

## დასრულდა პირველობა ბილიარდში



1-5 ივნისს, ქალაქ ხობში გაიმართა ჩემპიონატი ამერიკულ ბილიარდში ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ბილიარდის ჯგუფის მოსწავლეთა შორის. ტურნირის გამარჯვებული ოთარ კორტავა გახდა. ჩემპიონი და პრიზიორები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, ხატებითა და სიგელებით. სპორტული ღონისძიება განხორციელდა „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ორგანიზებით".

## თქვენი რჩეული საკრებულოში

*__მცირე დოსიე:__ კახაბერ ნუგზარის ძე ნადარაია დაიბადა 1977 წლის 24 მარტს ქ. ხობში. დაამთავრა ქ. ხობის №2 საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში. დაამთავრა ჰუმანიტარული უნივერსიტეტი–საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. მას შემდეგ ეწევა ბიზნეს საქმიანობას. 2006–2009 წლებში იყო მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ქ. ხობში. 2010 წლიდან არის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქ. ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.*

*კახაბერ ნადარაია არის კომუნიკაბელური, თავმდაბალი, პრინციპული, კარგი ორგანიზატორი და რაც მთავარია, პიროვნება, რომელსაც სიკეთის კეთება მთავარ მიზნად გაუხდია... მისი ცხოვრების წესი ქვეყნის, ოჯახის და ხალხის მსახურებაა. ჰყავს მეუღლე ნათია ყალიჩავა და ორი თვის ქალიშვილი–ქეთევანი.*




## „ხალხის სამსახურში ბოლომდე უნდა დაიხარჯო"

***ბატონო კახა, როგორ მოხვედით საკრებულოში, თქვენმა სურვილმა გადაძალა თუ ხალხის?***

–ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს–საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი საზოგადიების დაკვეთა გახლდათ, რადგანაც ვგრძნობდი ჩემი ქალაქელების მხარდაჭერას, გადავწყვიტე სხვა ღირსეულ კანდიდატებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მეც მიმეღო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ ამომრჩეველს მადლობა გადავუხადო ნდობისა და მხარდაჭერისთვის. არჩევის შემდეგ მაქსიმალურად ვცდილობ ჩემი ინტელექტი და შემართება ქალაქის განვითარებას მოვახმარო, სურვილი მაქვს იგი თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე აისახოს.

***რომელი ფრაქციის წევრი ხართ, რაიმე საზოგადოებრივი დავალება გაკისრიათ? რამ გადაგაწყვეტინათ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიაში გაერთიანებულიყავით. რას გვეტყვით თქვენს რჩეულ პარტიაზე, რა პროექტები გაქვთ, რის განხორციელებას აპირებთ?***

–როგორც იცით, ვარ ე.ნ.მ.–ის წევრი და საკრებულოში ამავე ფრაქციის წევრი, სხვა საზოგადოებრივი დავალება, უფრო სწორად, მეტად საპასუხიმგებლო რა უნდა მქონდეს?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის დაფუძნებიდან ვარ აქტიური მხარდამჭერი და ქვეყნის აღმშენებლობისათვის გატარებულმა სწრაფმა და ეფექტურმა რეფორმებმა გადამაწყვეტინა ჩავრთულვიყავი ჩემი მუნიციპალიტეტის ხალხის სამსახურში, რამაც თვითრეალიზების შესაძლებლობები მომცა. მიმაჩნია, რომ ე.ნ.მ ის ძალაა, რომელსაც შეუძლია საქართველო გახადოს ევროპული ქვეყანა, შეცვალოს ინფრასტრუქტურა, ხალხის სოციალური ყოფა... რაც შეეხება პროექტებს, ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ქალაქში ხორციელდება, გაზიფიცირებაა. ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ იგი თითოეული ოჯახის ცხოვრებას გაცილებით კომფორტულს გახდის. ასევე, საგრძნობლად შეუწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას, რაც თავის მხრივ დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. ყოველი ახალი შენობა და წამოწყებული ბიზნეს–საქმიანობა მოსახლეობის სოციალურ–მატერიალური ფონის გაუმჯობესების წინაპირობაა. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინებისათვის. ამ მხრივ რაიონში არსებული ფერმერთა სახლი სოფლის მეურნეობით დაინტერესებულპირთათვის საკმაო ინფორმაციას და დახმარებას იძლევა.

***ქალაქის მერის პოსტზე თქვენ ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი იყავით, რამ განაპირობა ეს–თქვენმა შინაგანმა ბუნებამ, კეთილშობილებამ თუ იმ რეფორმებმა, საერთო კურსმა, რასაც ხელისუფლება ბოლო წლებში ატარებს?***

–მადლობა კომპლიმენტისთვის. ალბათ, ყველაფერმა ერთად. ცენტრალური ხელისუფლების კურსმა და სწრაფმა რეფორმებმა, საქმისადმი დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობამ, იმის შეგრძნებამ, რომ როცა ხალხის სამსახურში ხარ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო, საკუთარი ქალაქის ცხოვრებით იცხოვრო და წვრილმანი დეტალიც არ უნდა გამოგრჩეს.

***მახსოვს აგვისტოს მოვლენების დროს, თქვენი „შეშლილი" სახე მით უფრო, როცა უახლოესი მეგობარი დათა ხურცილავა ამ ომის მსხვერპლი გახდა, დღეს რა განწყობით ხართ, რას ეტყვით იმ ადამიანებს, ვისაც ჯერ კიდევ რუსეთის ხელისუფლებისა სჯერა?***

–აგვისტოს მოვლენები ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსთვის. ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, მაინც განაგრძობს განვითარებას და ცდილობს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. მთავარია, ჩვენი ქვეყანა ამ გამოწვევისათვის მზად იყო... რუსეთ-საქართველოს ომმა ბევრი ოჯახი გააუბედურა. ჩვენი რაიონიდან 9 ახალგაზრდა ვაჟკაცს მოუსწრაფა ღვთით ბოძებული სიცოცხლე, მათ შორის იყვნენ ჩემი უახლოესი მეგობრები დათა ხურცილავა და მიშიკო იოსავა. აგვისტოს ომში დაღუპული ვაჟკაცების სიცოცხლის უკვდავსაყოფად ხობში, სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმართულია ობელისკი, რომელიც ამ ისტორიას შემოუნახავს მომავალ თაობას. მე კი მათ სახელებს რა დამავიწყებს, სიცოცხლის ბოლომდე მეხსომება, აგვისტოს მოვლენებმა მრავალი გმირი შემატა ჩვენს ქვეყანას. მათ დავიწყება არ უწერიათ...

სამშობლო ერთია, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს. მათ ვისაც, ამ სისასტიკის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების სჯერა, ძნელია რამე უთხრა, მითუფრო, როცა 25 მაისის ღამემ უფრო წარმოაჩინა ჩვენი მუდმივი სატკივარი, ქართველთა ღალატი, შური, დაუნდობლობა...

***გუნდური პრინციპით მუშაობის გჯერათ? (აუცილებელია?)***

–პრინციპების, იდეების და მიზნების გარშემო ხდება ადამიანთა გუნდის გაერთიანება. ეს წარმატების მისაღწევად აუცილებელიცაა.

***თარიღი–26 მაისი რას ნიშნავს თქვენთვის, როგორ საქართველოში ცხოვრებაზე ოცნებობთ?***

–თარიღი–26 მაისი სწორედ ის ისტორიული დღეა, როცა ქართველმა ერმა ნანატრ დამოუკიდებლობას მიაღწია, ასრულდა საუკუნეების ოცნება, რისთვისაც წინაპრები ოდითგანვე იბრძოდნენ. მას შემდეგ 20 წელიწადი გავიდა და საქართველო ბეწვის ხიდზე გადის, ასე ნაბიჯ–ნაბიჯ წინსვლით უნდა დავიმკვიდროთ ადგილი განვითარებულ, სუვერენულ ქვეყნებს შორის. გულახდილად გეტყვით, ამიერიდან, 26 მაისი (ბოლო მოვლენის შემდეგ), კიდევ უფრო გამიმძაფრებს ტკივილს და სიამაყეს, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი განიცდიდა ამ დღესთან დაკავშირებით, სიამაყეს, 20 წლის წინათ მოპოვებულის შენარჩუნებისა, ტკივილს მავანთა სულმდაბლობის გამო.

**როგორც ვიცი, თქვენს ოჯახს მცირე ბიზნესი აქვს. შემოთავაზება რომ ყოფილიყო საჯარო მოხელეობაზე, რას იტყოდით?**

–ამბიციური არასოდეს ვყოფილვარ, წინასწარ ამის თქმა ნამდვილად ძნელია.

***სასიამოვნო და მოწესრიგებული პიროვნება ხართ, ყველა ასაკის ადამიანში მოწიწებას იმსახურებთ. თქვენს ასაკში ეს ადვილი არ არის, რა არის ამის საიდუმლო?***

–თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია ისეთი თვისებების გარეშე, როგორიცაა იდეისადმი რწმენა, მაღალი მორალური თვისებები, განათლება, კომუნიკაბელურობა, განვითარებული აზროვნება და ემოციური სრულყოფა.

ყურადღება ყველა ასაკის ადამიანს სიამოვნებს, უნდა შეძლო შენს გარშემო მყოფთ სიყვარულით და სიფაქიზით მიუდგე და საჭიროების შემთხვევაში შეძლებისდაგვარად ხელი გაუწოდო. სიყვარული ის ძალაა, ყველაფრის დაძლევა რომ შეუძლია. ვიცხოვროთ სიყვარულით და ვერაფერი მოგვერევა.

***მოდით, გადავუხვიოთ თემას, რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ჩვილი ქეთევან ნადარაია ტირის?***

–ჩვილის ტირილი მაძლევს ძალას სამყარო უკეთ შევიცნო და უფრო იმედიანად ვუმზირო მომავალს. ეს შეუდარებელი ბედნიერებაა. ღმერთმა ეს გრძნობა არ მოგვიშალოს...

***ესაუბრა***
***მერი ლაგვილავა.***

## ინიციატივა

# ისტორიული კანონზომიერება ცვლილებებს მოითხოვს!

*26 მაისი. 2011 წლის ხობი. ამ დღეს კიდევ ერთხელ გაიარა და გაანალიზა საქართველომ საკუთარი წარსული და მომავალი. 26 მაისს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა **იგორ ტყებუჩავამ** საზოგადოებასთან მიმართვისას აღნიშნა, **„26 მაისი ეს არის უპირველესად იმ ადამიანთა სიცოცხლე და თავგანწირვა, ვინც იბრძოლა და შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომაც 26 მაისის დილა ჩვენ დავიწყეთ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან, ამიტომაც 26 მაისის დილას სანთლები დავუნთეთ 8 აგვისტოს დაღუპული ხობელი გმირების ხსოვნას.***

***დამოუკიდებლობა ქვეყნის უდიდესი მონაპოვარია. დამოუკიდებლობა თავისუფლების სიმბოლოა და ამიტომაც მინდა 26 მაისს გავახმოვანო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებრივი აზრითაა ნასაზრდოები. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც ხობის გულად, ცენტრალურ ნაწილად ითვლება, ვუწოდოთ „საქართველოს დამოუკიდებლობის მოედანი", ხოლო მეორე საჯარო სკოლის მიმდებარე ხეივანს–„26 მაისის სახელობის ხეივანი."***

***ისტორიული კანონზომიერება მოითხოვს გადაერქვას სახელები სტალინისა და ბერიას ქუჩებს. ხობის ქუჩები საქართველოზე უნდა ყვებოდნენ. 26 მაისის ხეივანი, ცოტნე დადიანის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქუჩები დამოუკიდებლობის მოედანთან მოიყვანს ნებისმიერ ხობელსა და მის სტუმარს. ეს კიდევ ერთი სიმბოლური შეხამება იქნება საქართველოს ისტორიასთან.***

***ის გზა, რა გზაა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანს! ასე სახელდებული ქუჩები, ჩვენ ყველას მიგვიყვანს ტაძრამდე, რომელსაც უფლის ნებით საქართველოს დიდება ჰქვია!***

*დარბაზიდან გამოსული საზოგადოება აქტიურად განიხილავდა ამ საკითხს, რადგან ყოვლ მათგანს გულში ჩასწვდა მრავალჯერ ნაფიქრი აზრის გახმოვანება,. ჩვენ ვერ ვიქნებით პასიური მაყურებელი ამ პროცესებისა, რადგან ეს სჭირდება ხობსა და ხობელებს, მომავალ თაობას. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თქვენ შეგიძლიათ შეუერთდეთ იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც უკვე გააკეთეს არჩევანი მარადიული ღირებულებების სასარგებლოდ.*

## მარადიული ფასეულობების დროა!

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას!

ბატონო იგორ, მოგმართავთ ხობელი სტუდენტები და ჩვენს წერილს პატარა ისტორიით დავიწყებთ. ყოფილ საბჭოთა, დღეს კი ერთ-ერთ ევროპულ ქალაქში არის საბჭოთა ავტორიტეტების ბიუსტებითა და ძეგლებით დახუნძლული ხიდი. როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაისვა საკითხი, თუ რა ექნათ ამ ხიდისთვის. ბუნებრივია, იყო რადიკალური შემოთავაზებები, რომ იგი ძეგლებიან–ბიუსტებიანად ნაგავსაყრელზე მოესროლათ, თუმცა, საბოლოოდ, გაიმარჯვა ჩვენი აზრით საუკეთესო მოსაზრებამ. ხიდის თავსა და ბოლოში გააკეთდა წარწერა დიდი ასოებით: „ისინი წავიდნენ!"

„ისინი" მართლაც წავიდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩებიან ჩვენს მენტალიტეტში, ჩვენს შეგნებაში, ხოლო ძველი ლოგიკით, ნებისმიერი რამე არსებობს მანამ, სანამ არსებობს ჩვენს ცნობიერებაში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში აქტუალურია საკითხი კანონპროექტის შესახებ, რომელიც საბჭოთა სიმბოლიკას ეხება. ჩვენი აზრით, 21-ე საუკუნის საქართველოში, საბჭოთა ცნობიერება უნდა შეიცვალოს, ღირებულებები გადაფასდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებობს მარადიული პრინციპები, მაგრამ გვგონია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემოგვრჩა გადასაფასებელი და ღირებულებადაკარგული ფასეულობები. ჩვენ ვეხმაურებით თქვენს ინიციატივას, რადგან იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქი თანამედროვე და ცივილური გახდეს, აუცილებელია, ხობში არსებული სტალინისა და ბერიას ქუჩებს სახელები შეეცვალოთ, რადგან ეს უკვე ჩვენი ცნობიერებაა, ჩვენთვის ღირებული ეროვნული ცნობიერება. ჩვენი აზრით, 26 მაისს გამოთქმული თქვენი ინიციატივა ჩვენთვის კიდევ ერთხელ იყო მაგალითი იმისა, რომ უფროსი თაობა, ხელისუფლება, მომავალი თაობის საფიქრალით ცხოვრობს და მოქმედებს. ხობში შემორჩენილია იმ ადამიანთა სახელობის ქუჩები, რომელთაც საქართველომ თაყვანი არასოდეს აღარ უნდა სცეს. ჩვენი აზრით, მართლაც უმჯობესია ამ სახელწოდებების შეცვლა ღირსეული სახელებით, რომლებიც დღეისთვის უფრო ძვირფას რამეს წარმოადგენენ. დღეს კი, როცა ყოფილ საიდუმლოებებს ფარდა აეხადა, ბევრი რამ გაირკვა და საქართველომაც მკაფიოდ დაინახა საკუთარი ადგილი ცივილიზებულ სამყაროში. პარადოქსულიცაა ქალაქში, რომელსაც ევროპულობისა და განვითარების პრეტენზია აქვს, სტალინისა და ბერიას ქუჩების არსებობა.

ვფიქრობთ, რომ დღეს, როცა საქართველოს დამოუკედებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამოქალაქო განვითარებისაკენ სწრაფვა გადამწყვეტ ფაზაშია და ჩვენი არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მორალური გადარჩენისთვის ბრძოლა, ისე, როგორც არასდროს, აქტუალურია, უპრიანია ერის, მათ შორის, თანამოქალაქეების სულისკვეთება ქალაქის ტოპონიმიკაშიც გამოიხატოს. კერძოდ, როცა დღევანდელ სტალინის ქუჩას აფხაზეთის სახელი მიენიჭება, ხოლო ბერიას ქუჩას „სამაჩაბლოს ქუჩა" ეწოდება, ეს ნამდვილად იქნება ისტორიული კანონზომიერების აღდგენა. ეს იქნება აფხაზეთისა და სამაჩაბლოსკენ გადადგმული ნაბიჯი. „მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არავინ გვძულს, ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქვეყანა, ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ სიყვარულით გავიმარჯვებთ!"–ეს იქნება ამ ქუჩების და საერთოდ, ხობის მკაფიო გზავნილი.

ქართულმა სახელმწიფომ დიდი ნაბიჯი გადადგა მომავლისკენ. 26 მაისი კი არის დღე, რომელმაც საბოლოოდ მოგვიყვანა დღევანდელ დამოუკიდებლობამდე. სიმბოლური იქნება, თუ მოედანს, რომელზეც გადის (ამ იდეის ხორცშესხმის შემთხვევაში) 26 მაისის ხეივანი, დაერქმევა დამოუკიდებლობის მოედანი. გამვლელები 26 მაისის ხეივნის გავლით მოხვდებიან დამოუკიდებლობის მოედანზე. ამ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის მოედანი იქნება ხობის გვირგვინი, ისევე, როგორც დამოუკიდებლობაა საქართველოსთვის ციტადელი. ამგვარად, ხობია ქალაქი, რომელზე ზრუნვაც ჩვენი და თქვენი ერთობლივი ინტერესია, გარკვეულწილად, საკუთარ თავში დაიტევს საქართველოს, საქართველოს სიმბოლოს ფუნქციას შეითავსებს, განთავისუფლდება საბჭოთა სტერეოტიპებისაგან და მიუახლოვდება იმ სტანდარტებს, რასაც ლამაზი, ევროპული ქალაქი, განათლებული და განვითარებული მოქალაქეებით უნდა აკმაყოფილებდეს. მით უმეტეს, იდეის ხორცშესხმის შემთხვევაში, სიმბოლური იქნება ამ იდეის გახმოვანების თარიღიც.

გვინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენთ. იმედი გვაქვს ჩვენი აზრი დაგაინტერესებთ. ხობელ სტუდენტებს ნამდვილად გვეამაყება, რომ ჩვენ ხობის ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერის ფესტივალის მასპინძლები–ხობის შვილები ვართ, რისთვისაც ყველა ხობელი ღირსეულ მადლობას უხდის ბატონ გოდერძი ბუკიას. ფესტივალი ის ფასეულობაა, რამაც მართლაც უდიდესი როლი და მისია იკისრა, არა მხოლოდ ფოლკლორული ნამუშევრების გადარჩენაში, არამედ ხობელობა ჭეშმარიტად მისათითებელ სახელად აქცია. როცა გვეკითხებიან თანატოლები, საიდანა ვართ და ვპასუხობთ „ხობი", უმრავლესობა ამბობს, „ვიცით, იქ ხომ ფესტივალი ტარდება". ამიტომაც, ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი სურვილია, სოფელ ხეთის დიდების მუზეუმიდან პირველი მაისის სამონასტრო კომპლექსამდე, სადაც სექტემბერში უწმინდესის რეზიდენცია იხსნება, ხობამდე მთელს პერიმეტრს ეწოდოს „ფესტივალის ქუჩა".

სახელწოდებები „სამაჩაბლოსა" და „აფხაზეთის" ქუჩა, „26 მაისის ხეივანი", რომელსაც უკვე არსებული ცოტნე დადიანის ქუჩა ეგებება, სიმბოლურად შეიკვრება დამოუკიდებლობის მოედანზე და ფესტივალის დღეებში მოსულ სტუმრებთან ერთად საქართველოს ისტორიულ–კულტურულ ფასეულობებს, ჩვენს ოცნებებს საქართველოს ერთიანობაზე დამოუკიდებელი საქართველოს სახელობის მოედანზე შევხვდებით.

ვიმედოვნებთ, რომ იდეის რეალიზაციისთვის გააკეთებთ ყველაფერს და ცოტა ხანში ხობელები, სტალინისა და ბერიას სახელობის ქუჩების ნაცვლად, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ქუჩებზე იცხოვრებენ, ფესტივალის ქუჩით ივლიან სიმღერისას და ლოცვისას, 26 მაისის ხეივანსა და დამოუკიდებლობის მოედანზე შეხვდებიან ერთმანეთს, სტუმრებს და თითოეული ხობელი იცხოვრებს ქალაქში, რომელიც თავის თავში გულისხმობს ქართულ, ეროვნულ აზროვნებას. ვიცით, მტკიცედ გვჯერა, რომ ქართულ სახელმწიფოს დაღუპვა არ უწერია, ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა ვთქვათ: „საბჭოეთიზმისაგან" თავისუფლად ვცხოვრობთ და ვამბობთ–„ისინი მართლა წავიდნენ!!!"

ახლა მარადიული ფასეულობების დროა.

ვიმედოვნებთ, რომ სექტემბერში ჩვენ განახლებული, ჭეშმარიტი ფასეულობების სახელდებული ქუჩები გვექნება.

***პატივისცემით ხობელი სტუდენტები.***

## იმედია, ახალ ტრაფარეტებს—ქუჩებს ახალი სახელწოდებით მალე ვიხილავთ

ჩვენ, ხობელ ახალგაზრდებს მტრის მუხანათობას შეწირული ხობელი გმირების ქვაზე ამოტვიფრული სახელები გვავალდებულებს მამულის მათებურ სიყვარულს. საქართველოს ისტორიას რომ ვეცნობით, ასეთი მსხვერპლის მრავალი მაგალითია, რომლითაც მიდიოდა ქართველი ხალხი თავისუფლებამდე, დამოუკიდებლობამდე.

სამწუხაროა, რომ ხშირად ქართველის ხელით ხდებოდა ყველაზე დიდი ღალატი.

როცა ვკითხულობ სტალინისა და ბერიას შესახებ, გაოცება მიპყრობს. მაშინ, როცა შენ ქართველი მართავ ამხელა იმპერიას, არ გააკეთო სამშობლოსათვის ის ელემენტალური, რასაც თუნდაც ერთი მტკაველი ქართული მიწის დაბრუნება ჰქვია და მხოლოდ ქართველთა საუკეთესო ნაწილის განადგურებით იყო დაკავებული, რაღაც საშინელი იმპერიული იდეების გამო მოღალატეობა ჰქვია. თუმცა მე ამისათვის ალბათ პატარა ვარ, მაგრამ ასე ვფიქრობ.

26 მაისს კი, როდესაც ჩვენმა გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ მოგვილოცა დამოუკიდებლობის დღე და გაახმოვანა ინიციატივა, რომ სტალინისა და ბერიას ქუჩებს ეწოდოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქუჩა, ჩვენი სკოლის მიმდებარე სკვერს „26 მაისი ხეივანი" ქალაქის ცენტრალურ ნაწილს–„დამოუკიდებლობის მოედანი" ასე მეგონა, ჩემი თაობის სათქმელი თქვა.

იმედია, ახალ ტრაფარეტებს–ქუჩების ახალი სახელწოდებით, მალე ვიხილავთ. ხობელი ახალგაზრდობა, ისე, როგორც ეს გამგებელმა ბრძანა, ცოტნე დადიანის ქუჩით, 26 მაისის ხეივნით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქუჩებით დამოუკიდებლობის მოედნამდე მივალთ, რისთვისაც გიხდით მადლობას.

**მარი სიგუა,**
**II საჯარო სკოლის X – ბ კლასის მოსწავლე.**

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას!

ბატონო იგორ!

ყველა ჩვენთაგანისათვის ძვირფასია ის დღე, როდესაც ხობს რაღაც ახალი ემატება. მუნიციპალიტეტის სახეს ადმინისტრაციის ცენტრი წარმოადგენს. განსაკუთრებით, მისი ცენტრალური ნაწილი–კულტურის სახლის მიმდებარე და წინა ტერიტორია. ეს არის ახალგაზრდობისა და ძველი თაობის თავშეყრის ადგილი, ეს არის სტუმართა პირველი შთაბეჭდილება ხობზე, რომელსაც ხობელები უბრალოდ ცენტრს ვეძახით, რადგან მას სახელწოდება არ გააჩნია.

მოგმართავთ თხოვნით, რომ კულტურის სახლის წინ მდებარე, მოედანს და მეორე საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ პარკს, მიენიჭოს ისეთი სახელდება, რომელიც საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას გაუსვამს ხაზს.

ბატონო გამგებელო, ვიცით, რომ ქუჩებისათვის სახელის გადარქმევა უფრო მეტ დროსთან არის დაკავშირებული, მაგრამ გაითვალისწინეთ და გთხოვთ, იფიქროთ იმაზეც, რომ ხობში ბერიასა და სტალინის ქუჩებსაც გადაერქვათ სახელები, რადგან მათი მოღვაწეობა, ნამდვილად არ ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმართული.

ჩვენი პირველი მოთხოვნა ახალი სახელწოდების მინიჭება ხობის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მოედანსა და პარკისთვის, აუცილებლად ხობის საერთაშორისო ფესტივალის დაწყებამდე მოესწროს, რომ ჩვენ „26 მაისის სახელობის პარკსა" და „დამოუკიდებლობის მოედანზე" შევხვდეთ ჩვენთვის მნიშვნელოვან სახალხო ზეიმის დღეებს, სადაც მთელი ხობი უამრავ სტუმარს ელოდება. ჩვენ ამით ტრადიციებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი უღრმეს პატივისცემასა და მოწიწებას გამოვხატავთ და იმედი გვრჩება, ამ საკითხის გადაწყვეტაშიც ჩვენს გვერდით იქნებით.

**ალექსანდრე არჩაია, მერაბ სალაყაია, ბესიკ ქირია, პაატა ქირია, ერეკლე ჟვანია და სხვები.**

**გვერდი მოამზადა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ.**

## მეხსიერების ბაღში

# „კაცი კარგ საქმით იქება“

ერთობ სერიოზული ამოცანის წინაშე დავდექი. უნდა დავწერო ნარკვევი ადამიანზე, რომელმაც გარკვეული დროის მანძილზე მოახერხა გაეკეთებინა და შეექმნა იმდენი, რამდენიც საკმარისია სამუდამო სახელის დასამკვიდრებლად. ასეთ ადამიანზე წერა რთულია და ამოცანა ამოცანად დარჩებოდა და სურვილი სურვილად, რომ არ მომეპოვებინა ოფიციალური ცნობები პიროვნებაზე, რომელსაც ჟორჟი ბუკია ჰქვია და რომელიც დღეს ხობის კოლორიტს წარმოადგენს, კაცობით, ერთგულებით, სიკეთით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იუმორით.

ვათვალიერებ ბატონი ჟორჟის სურათებს, ჯილდოებს, ადრინდელ სტატიებს მასზე, რესპუბლიკურ თუ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე და ვფიქრობ, როგორ გასულა წლები, როგორ გამხდარა გუშინდელი მისი ცხოვრება ისტორიის ნაწილი, მისი, ვინც ასე ერთგულებითა და თვითშეგნებით ედგა სათავეში პა-



ტარა თუ დიდ საქმეს. პიროვნული ეთიკა არ მაძლევს ვიკისრო კვალიფიცირება უფროსი მეგობრის პიროვნული ღვაწლისა, ეს უკვე განისაჯა და დრო-ჟამი კიდევ უფრო განსჯის, ისტორია არაფერს ივიწყებს, იგი სოციალური სიზუსტით ადგენს, რას ფიქრობს ხალხი მასზე. მის პიროვნულ თვისებებზე, ნაკლსა თუ ღირსებებზე.

უნდა ითქვას, რომ ადამიანს, რომელსაც ბუნებისაგან მომადლებული აქვს იშვიათი ნიჭი და ენერგია, ნიჭი თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულისა, მისთვის ხილული და უხილავი სიკეთის მოფენისა, ის ვისაც თავისთვის კი არ უყვარს ქვეყანა, არამედ თავისი თავი უყვარს ქვეყნისთვის, ისტორია არ გააწბილებს.

ალბათ თითზე ჩამოსათვლელი დაგვრჩა ისეთი ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ, ჰქონდათ განსაკუთრებული მიღწევები მინდობილ უბნებზე, თავიანთ სიტყვას ამბობდნენ რაიონის მიღწევებშიც. ისინი შრომაში ეძიებდნენ და პოულობდნენ კიდევაც ბედნიერებას. სწორედ ასეთმა შრომამ, მინდობილი საქმისადმი პრინციპულმა დამოკიდებულებამ და რაც მთავარია, საუცხოო ორგანიზატორულმა ნიჭმა განაპირობა ახალგაზრდა კაცის ჟორჟი ბუკიას შრომითი ბიოგრაფია. მისი გზა დაიწყო ბრიგადირობიდან, შემდეგ იყო ფერმის გამგეობა, რაიკომის ინსტრუქტორი, ქვალონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ნოჯიხევის და პირველი მაისის კოლმეურნეობების თავმჯდომარე, ხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მას კარგად იცნობდნენ რაიონში, რესპუბლიკაში, პატივს სცემდნენ მის შემართებას, გამჭრიახობას და საქმისადმი თავდადებას. მისი ამ თვისებების გამო, ბატონ ჟორჟის ყოველთვის იქ უშვებდნენ ხელმძღვანელად, სადაც უფრო ჭირდა, სადაც მეურნეობა ფეხზე იყო დასაყენებელი.

ბატონი ჟორჟის შრომით ბიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უკავია სოფელ საჯიჯაოს, სადაც იგი 1980 წელს აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ დღიდან სამუდამოდ დაუკავშირდა სოფლის და კაცის სახელი ერთმანეთს, რომელსაც კოლმეურნეობა აერთიანებდა. „ჟორჟის კოლმეურნეობა“–ასე ჩაეწნეხა ეს ორი სიტყვა ერთმანეთს, რადგან ბატონი ჟორჟისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა სოფელი, სადაც ის ათენებდა და აღამებდა. მისი სამუშაო დღე დილის ექვს საათზე, მეცხოველეობის ფერმიდან იწყებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფის თანმიმდევრულმა განხორციელებამ, მატერიალური სტიმულირების გონივრულად გამოყენებამ, ხელი შეუწყო მეცხოველეობის აღმავლობას და შემდგომ განვითარებას. მისი მუშაობის პერიოდში, სულადობის და პროდუქტიულობის მატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

კოლმეურნეობის წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდა მემცენარეობის დარგებს, კერძოდ ჩაისა და სიმინდის კულტურებს. არ ვაპირებ დღეს ციფრების ენით საუბარს, მაგრამ ამ კულტურების მოსავლიანობის მხრივ საჯიჯაოს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე იყო რესპუბლიკაში.

ბატონი ჟორჟი ბუკიას საზოგადო ღვაწლს ამშვენებს იმდროინდელი მაღალი ჯილდოები–ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და ორი მედალი. იგი სისტემატურად იყო კპ ხობის რაიკომის წევრი და სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი. მის ჯილდოებს შორისაა მედლები „კავკასიის დაცვისათვის“ (1944 წ.), „მამაცური შრომისათვის“ 1941-45 წწ. დიდ სამამულო ომში.

ნიჭიერი ხელმღვანელის ხელი სოფლის იერსახესაც დაეტყო. საავადმყოფოს ახალი შენობა, ბაგა–ბაღი, კულტურის სახლი, სოფლის მაღაზია, ქვედა ზენის 8 წლიანი სკოლა, აფთიაქი, შინმოუსვლელთა პარკი, დიდ სამამულო ომში დაღუპულ საჯიჯაოელთა პატივსაცემად აღმართული ობელისკი, ღია სპორტული კომპლექსი–აი, არასრული სია ბატონი ჟორჟის დროს გაკეთებული საქმეებისა.

ცალკე საუბრის თემაა ბატონი ჟორჟის დამოკიდებულება განათლების სფეროს მიმართ. იგი ხშირად სტუმრობდა ოთხივე სკოლას, ეცნობოდა სკოლის პრობლემებს, მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ, უხაროდა სკოლების წარმატებები.

ახალი თაობისადმი სიყვარულმა განაპირობა უპრეცედენტო მაგალითი ხობის რაიონში, იგი იხდიდა ჩამოსულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა გადაადგილების სატრანსპორტო ხარჯებს და მან ერთ-ერთმა პირველმა, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლის მოსწავლეებს შესთავაზა ერთჯერადი, ცხელი სადილი უფასოდ, ყველა ბავშვზე, კარგი მენიუთი, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ძალიან ხშირად, საპატიო სტუმრების ჩამოსვლისას, ბატონი ჟორჟი მანქანას გამოაგზავნიდა სკოლების დირექტორებთან და ჩვენც მისი სტუმრები ვიყავით

კოლხური კოლორიტით საჯიჯაოელი მშრომელის კარ-მიდამო, ყოველთვის იქცევდა სტუმრის ყურადღებას, უყვარს მეგრელ კაცს წესსა და რიგზე ცხოვრება თავის ოჯახში, მათ კოპწია სახლების შემოგარენს ამშვენებს კოხტად და ლამაზად მოწყობილი ეზოები, ბატონი ჟორჟის ხელმძღვანელობისას ოჯახური შემოსავლების ზრდამ, კიდევ უფრო დაატყო ხელი მათი კარმიდამოს დამშვენებას, გაიცა შეღავათიანი, გრძელვადიანი სესხები, რომლითაც შენდებოდა ახალი საცხოვრებელი სახლები.

და მაინც, ყველაზე რთული, ადამიანებთან ურთიერთობაა. არის მართვის ამ ხელოვნებაში რაღაც ისეთი, რომელსაც ინსტიტუტში ვერ შეიძენ, ბუნებრივად უნდა გქონდეს მომადლებული, ესაა ალბათ უშუალობა და გულღიაობა. ამ თვისებებმა შეაყვარა ბატონ ჟორჟის სოფელი, იგი გახდა მისთვის დიდი ოჯახი, რომელიც ზოგჯერ საკუთარსაც გავიწყებს, მან ყველგან და ყველაფერში ჭირისუფლად იგრძნო თავი და ეს ხალხსაც დაანახა. ეს სიყვარული შეუმჩნეველი, უპასუხო არ დარჩენია საჯიჯაოელებსაც, ისინი აფასებენ, უყვართ და პატივს სცემენ ბატონი ჟორჟის პიროვნებას.

ვხედავ დასასრულისკენ მივდივარ და ვაჯამებ ნაწერს. და მაინც, რატომ ბატონი ჟორჟი ბუკია? პასუხსაც აქვე ვაძლევ ჩემს თავს, იმიტომ რომ იგი უპირველესად არის „კარგი კაცი“, წარმატებული მეურნე, ერთგული მეგობარი, მოყვარული მეუღლე და არაჩვეულებრივად კარგი შვილების გამზრდელი მამა, მისი ბაბუობა კი განსაკუთრებულია, რადგან იგი შვილიშვილების ყოველდღიურობით ცხოვრობს და ამაყობს კიდევაც მათით, თუმცა ჩვეული იუმორით ამატებს „მე რომ თქვენი ხნის ვიყავი...“

ვამთავრებ წერას: კვლავ ვიქექები ოფიციალურ მასალებში, მინდა რაღაც დავამატო, ვეძებ ხომ არ გამომრჩა რამე ამ სახელოვან კაცზე და ვგრძნობ, რომ რაღაც ვერ ვთქვი ისე, როგორც მას ეკადრება, მის პორტრეტს დაამშვენებდა, და აი, გამახსენდა სიტყვები, რომლითაც მე დავამთავრებ და რომელიც ბატონ ჟორჟის ძალიან უყვარდა და მთელ მის ცხოვრებას კრედოდ გასდევდა „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე“.

**მანანა შულაია**

# „ვფიქრობ, ქრისტიანულად, კაცურად ვიცხოვრე“

***ერთ დროს მეგობრებით „დახუნძლული,“ დღეს ჩუმად, თითქოსდა შეუმჩნევლად, ეულად დადის. თითქმის „შემომეცალაო მეგობრები, მეზობლები, თანატოლები,–იცის ხშირად თქმა, არადა ბატონ ოთარ კობახიძეს, ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელს, ფიზიკურად და სულიერად მშვენიერ ადამიანს, არც თუ ისე ცოტა აქვს სათქმელი თუ მოსაგონარი...***

***ოთარ კობახიძემ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა, უმაღლეს პარტიულ სკოლაშიც ისწავლა, შემდეგ–სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით. როცა მის ბიოგრაფიას წაიკითხავ, ადვილად მიხვდები, რომ ეს პიროვნება ძალზე ნაკითხი და განათლებული გახლავთ. სად არ უმუშავნია–ხობის კომკავშირისა თუ პარტიის რაიკომებში, რაიონული გაზეთის რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, დაფნის კომბინატისა თუ დამზადების კანტორის დირექტორად, რაიონის მთავარ აგრონომად... ეს ის მცირედი ჩამონათვალია, სადაც მას უღვაწია, უღვაწია და დაფასებულიც გახლდათ, ახალგაზრდების ყოფილ თავკაცს დღემდე გამოყოლია მათზე ფიქრი და განცდა...***

***ოთხმოცს გადაცილებული პიროვნება დღემდე რჩება თავისი იდეების ერთგული, უყვარს კითხვა და ჟურნალ გაზეთებში „ქექვა“. რედაქციის ყოფილი მუშაკი ახალ ჟურნალ-გაზეთებს დღემდე გვერდს ვერ უვლის, მას ყოველთვის კეთილი საქმეები უკეთებია, სხვის საქმეში ცუდად არასდროს ჩარეულა, მისგან წყენაც არავის ახსოვს, პირიქით, ხალხის კეთილდღეობა და მამული მისთვის ყოველთვის უპირველესია...***

***ამასწინათ ის ჩვენი სტუმარი გახლდათ.***

***ბატონო ოთარ, როგორ მოიგონებთ ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს?***

–ჩემი ბავშვობა შესაშური ნამდვილად არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, ცუდად არ ვცხოვრობდით. დღევანდელობასა და ჩემს ბავშვობას შორის პარალელის გავლება ნამდვილად შეუძლებელია. ჩვენ ბევრი რამ გვაკლდა–სათამაშოები თუ წიგნები, ტრანსპორტი თუ სხვა რამ, პირველი მოხმარების ნივთები, ფუფუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო... ბავშვებს მაშინ სახლში შეკერილი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი გვეცვა, ბევრს ისიც არ ჰქონდა...

ახალგაზრდობა კი ომის წლებს დაემთხვა. სოფელში თითქმის ყველა მამაკაცი ფრონტზე გაიწვიეს. 16-17 წლის ბიჭები სოფლის კომკავშირელებთან და კავშირგარეშე ახალგაზრდებთან ერთად ველ–მინდვრებში ვიყავით გასულები. ვხნავდით, ვთესავდით, მოგვყავდა სიმინდი, ლობიო, სოიო, რაც სახელმწიფოს ბარდებოდა, თანხა საქართველოს ავიამშენებლობის ფონდში ირიცხებოდა. საქართველომ მაშინ რამოდენიმე გამანადგურებელი თვითმფრინავი გამოუშვა ფრთაზე ლამაზი წარწერით–„საქართველოს კომკავშირი.“ იგი ფაშისტებს რისხვად ატყდებოდა, რაც ჩემი თაობის ახალგაზრდებისათვის უდიდესი სიამაყე იყო.

***რას იტყოდით იმ ადამიანებზე, რომლებიც თქვენი ცხოვრების გზის გამკვალავი გახლდათ?***

–ფიზიკურ შრომას და ადამიანებთან ურთიერთობას ბავშვობიდანვე შევეჩვიე. ალბათ ეს ცხოვრებამ მოიტანა. დიდი პატივისცემით ვიხსენებ იმ კეთილ, ზნემაღალ და განათლებულ ადამიანებს, რომლებმაც ჩემს კარგ ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი დაიდეს. ესენი გახლავთ ის უფროსი მეგობრები, რომლებიც ჯერ იყოდა მასწავლიდნენ, ცხოვრების გზის გაკვალვაში მეხმარებოდნენ, შემდეგ კი მეგობრები, სულით უახლოესი ადამიანები გახდნენ–აწგანსვენებულები: ჭიჭიკო ლატარია, ნოე კუჭავა, მიშა სიორდია, კალისტრატე შარტავა, ანტიფო ჭეჟია და უამრავი სხვა კეთილი ნების ადამიანი.

ჩემი ცხოვრების პირველი ნაბიჯები ჭიჭიკო ლატარიასთან მაკავშირებს. მაშინ ის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი იყო, მე კი მისი ინსტრუქტორი. ოთხ წელიწადში კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი გავხდი, ასე ჩავები კომკავშირულ საქმიანობაში... წლებმა გამოცდილება შემძინა, გამოცდილებამ და განათლების მიღებამ გზა გამიხსნა და ახალი მიზნების ასრულებისკენ მიბიძგა...

ცხოვრება დაუსრულებლად გრძელდებოდა...

***თქვენი აზრი დღევანდელი ახალგაზრდობის წიგნიერებაზე?***

–ჩემი დროის და შემდგომი თაობების ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი, იმ თაობის წარმომადგენლები გახლდათ, რომლებმაც თავიანთი ღირსეული სიტყვა თქვეს საქართველოს აღმშენებლობაში–ეს იყო განათლების სფერო, ჯანმრთელობა, კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, პოლიტიკური სარბიელი, მუსიკა თუ სხვა დარგები. გვყავდა ასობით შრომისმოყვარე გმირი, მშრომელი, წიგნიერი ადამიანი.

დღეს? დღევანდელი XXI საუკუნის ახალგაზრდობა, უფრო დახვეწილი, ამაღლებული სამყაროს შვილები, განათლებულები, ენების მცოდნენი არიან. მათი თვალსაწიერი ზეამაღლებულია. ჩვენ თუ პირველად ტელევიზორი გვაოცებდა, მათ კომპიუტერიც არ აღევლებთ, ინტერნეტმა სამყარო მათ სულ სხვა თვალით დაანახა, შეიმეცნეს და შეითვისეს ახალი ტექნოლოგიები. ინტერნეტით ერთმანეთს ნახულობენ და ესაუბრებიან. სწავლების მეთოდებიც შეიცვალა, ბევრი რამ მოსაწონი და



მისაღებია, რაც მთავარია, ჩემი აზრით, მოზარდმა არ უნდა დაკარგოს სამშობლოს, ჩვენი ენის, ჩვენი სარწმუნოების სიყვარული და მისთვის ბრძოლის ჟინი. მოზარდს, ახალგაზრდას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის ქართველია, ის მართლმადიდებელი ქრისტიანია, რომ იგი დავითის, თამარის, ვახტანგის, გიორგის, ცოტნეს, ქეთევანის, ილიას, თვედორე მღვდელის შთამომავალია. რომ საქართველოს ჰყავს ცოცხალი წმინდანი ილია II...

განათლება და კულტურა ყოველთვის პირველ ადგილზე იყო და უნდა იყოს ნებისმიერი ეპოქის ახალგაზრდისთვის და ღმერთმა ნუ ქნას, ასე არ იყოს.

***თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდი სიხარული?***

–ჩემს ცხოვრებას წარმატებებთან ერთად, უპირველესად, ჩემი ოჯახი ალამაზებდა. მყავდა შესანიშნავი მეუღლე, განათლებული და კარგი ადამიანი ზინა ქათამაძე, მყავს ჩემთვის უსაყვარლესი შვილები ნანა და პაატა, შვილიშვილები სანდრო კობახიძე და მარი რამიშვილი. ჩემი აზრით, ესაა ცხოვრების აზრი და მიზანი. სწორედ ისინი მასულდგმულებენ და დარჩენილ ცხოვრებას მილამაზებენ.

მახარებს ქვეყნის წარმატებები, მაღელვებს ის სიტუაციები, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ეს ჩემი თაობის ადამიანთა ტკივილია. ცუდია, რომ გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ იმედია, ეს ყველაფერი მოგვარდება. ოჯახთან ერთად მყავდა და მყავს დიდი სამეგობრო წრე, ეს ჩემთვის უდიდესი განძია.

***ბატონო ოთარ, ხართ ეკლესიური?***

–გეტყვით, ბიძა მყავდა მღვდელი, ვიცი რა არის ეკლესიურად ცხოვრება, მაგრამ ეკლესიურად არ მიცხოვრია, თუმცა ღვთის სიყვარული და რწმენა მუდამ თან მსდევდა. ბუნებით ვარ მიმტევებელი, ჩემი ცხოვრების წესით,ღვთის გზისთვის არასოდეს მიღალატნია, არ მიკეთებია მკრეხელური საქციელი. ვფიქრობ, ქრისტიანულად, სწორად, კაცურად ვიცხოვრე.

***თქვენი უპირველესი სურვილი?***

–ჩემი შვილების და შვილიშვილების ბედნიერი ცხოვრება, რომ მათ ბედნიერ და ერთიან საქართველოში იცხოვრონ, რომ არასოდეს ნახონ შიში, განცდა, ტკივილი, უყვარდეთ თავიანთი სამშობლო. იყონ ერთმუშტად შეკრულნი. ჰ ყავდეთ დიდი სამეგობრო. უნდა იცოდნენ, როცა ბევრნი ხართ, ძლიერი ხართ, ვერავინ და ვერაფერი მოგერევათ. ასე დავმოძღვრავ სხვის შვილებსაც.

ჩემი სურვილია, ვიხილო ერთიანი, ძლიერი საქართველო.

**ნანი კილასონია.**

კაბინეტს მიღმა

ერთი ავტორის გვერდი

**რუბრიკის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსი ბესო ნაჭყებია. თუ როგორია ბატონი ბესო არასამსახურეობრივ გარემოში, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ**

# „სამყარო ჩემი მეგობარია"

***დღევანდელობამდე ცხოვრების ბევრი ეტაპი გამოიარეთ და რომელს გამოარჩევდით?***

–რომელიმე ეტაპის გამორჩევა გამიჭირდება იმიტომ, რომ მქონდა ბედნიერი ბავშვობა. მახსენდება ჩემი მშობლიური ხობის №2 საშუალო სკოლა, ჩემი პედაგოგები, თანაკლასელები და დღესაც, როდესაც ყოველდღიურად გავდივარ სკოლასთან, თვალწინ ის წლები მიდგას და გული სითბოთი და სიყვარულით მევსება, სიჭაბუკის წლები ბედნიერი მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობამ სამოქალაქო ომის წლებში მომიწია. ხოლო, რაც შეეხება დღევანდელობას, მიყვარს ის საქმე, რომელსაც ვემსახურები და ვაკეთებ, თუმცა არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს უდარდელი ცხოვრება მქონდა, იყო გარკვეული სიძნელეები, იმედგაცრუებაც, მაგრამ სასოწარკვეთილი არასდროს ვყოფილვარ, მომავალს ყოველთვის იმედით შევყურებდი.

***რა იცით თქვენი გვარის წარმომავლობის შესახებ?***

–ნაჭყებია, „ნაჭა" და „ყებური" მეგრულში ტრადიციულობის მიმანიშნებელია. ორივე ოჯახის კერიის დამახასიათებელია და ეტყობა, ჩემი წინაპრები ძირეული ფუძის დამფასებლები იყვნენ, ანუ იცოდნენ კერიის ფასი. მე ასე მგონია და ასე მინდა იყოს, რადგან შინაგანად ძალიან ტრადიციული ვარ, მენტალობით, ხასიათითა და ოჯახის მართვის ჩემეული მეთოდებით.

***როგორი უნდა იყოს ტრადიციული ქართველი მამაკაცის მოთხოვნები ტრადიციულ ქართულ ოჯახში და თქვენ რამდენად ტრადიციული ბრძანდებით?***

–ზუსტად ჩვენი სასაუბრო თემის გაგრძელებაა. ზოგიერთი თვლის, რომ ტრადიციულობა რაღაც არქაიზმია, თუმცა ამას, საბედნიეროდ, ზოგიერთი თვლის და არა ყველა. პირადად ჩემთვის ტრადიციული ქართველობა, მამა-კაცობა, ნიშნავს იყო ისეთივე ტოლერანტი, როგორიც ჩვენი ღირსეული წინაპრები იყვნენ, სულიერად ძლიერები და ოჯახში მეუღლის, დედის და საერთოდ ქალის მოკრძალებული პატივისმცემლები იმ დონეზე, რომ მათგან ასევე პატივისცემა და რიდი მიიღო, როგორც ოჯახის მამა-მთავარმა და მმართველმა, სტუმარ-მასპინძლობის ულრმესი ფილოსოფიის მატარებელი, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, რითაც ქართველი ერი გამორჩეულია. ტრადიციულობა ეს არის „ჭირსა შიგან გამაგრება" და „მეგობრობა გზად და ხიდად". ეს შინაგანად უნდა იგრძნო და დაამკვიდრო, ამას მხოლოდ სიტყვებით ვერ მოყვები, აქ ნაკლები უნდა თქვა და მეტი გამოხატო.

***თქვენი ოჯახი?***

–ჩემს ოჯახს, ასეთი სახელი ჰქვია–დედა, ინგა და მე. მე და ინგა დილიდან–6 საათამდე სამსახურს ვეკუთვნით, დედა კი ოჯახს. საღამოს ვიკრიბებით ერთად და დედა სახლის ამბებს გვიყვება, სამაგიეროდ, ჩვენ სამსახურის ამბებს არ ვუყვებით, ინგას საოცარი იუმორი აქვს და დედის მოყოლილს ვარჩევთ. მიხარია, რომ დედას და ინგას გამორჩეულად უყვართ ერთმანეთი. საერთოდ, ვთვლი, რომ თბილი ოჯახი გვაქვს და ასე ვუყურებთ მომავალს, როცა დედას, ინგას და მე ოჯახის მთავარი წევრი შეგვემატება.

***ხართ თუ არა რელიგიური?***

–ვარ, მაგრამ ცხოვრებას ეკლესიურად ვერ ვახერხებ, იმდენად დატვირთული ვარ სამსახურში და სახლში.

***ვინ არიან თქვენი მეგობრები?***

–საკმაოდ ფართო სამეგობრო წრე მყავს. ჩემს მეგობრებს სახელობით ნამდვილად ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ერთგვარ ჯგუფებად არა, მაგრამ პირობითად დროის მიხედვით დავყოფ. ბავშვობის ანუ ბაღის მეგობრები, ეს დრო ძალიან კარგად მახსოვს. შემდეგ სკოლის, სტუდენტობის მეგობრები და შემდგომ ჩემი ცხოვრების გზაზე გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც წლებია ერთად ვდგავართ, ერთმანეთის ლხინითა და ჭირით მოვდივართ. მტერი ნამდვილად ვიცი არა მყავს, ყოველ შემთხვევაში მე არავის მიმართ არ მიგვრძვნია, თავი მტრად და აქედან გამომდინარე, სამყარო ჩემი მეგობარია.

***რა არის მეექვსე გრძნობა?***

–რადგან სამყარო ჩემი მეგობარია, ის დოგმადქცეული ხუთი გრძნობის შემდეგ მჩუქნის მეექვსე გრძნობას, რომელიც ჩემი აზრით ძალიან ინდივიდუალურად განსაზღვრავს ადამიანის შემეცნებას. მეექვსე გრძნობა უხილავ განზომილებაში ფსიქოლოგიურად გადასვლის უნარია, რომელიც ინტუიციის დონეზე მაძლევს მინიშნებას. ზოგჯერ ამაზე ფილოსოფიურად მეცინება, მაგრამ ადამიანებს ძალიან კარგად ვგრძნობ და ვცნობ.



***საყვარელი ადამიანისთვის ყვავილები თუ მიგირთმევიათ?***

–არა. ალბათ ჩემი ხასიათის თვისებაა ის, რომ ვერასდროს ვერ წარმომედგინა ჩემი თავი ყვავილით ხელში, ყოველთვის მქონდა ამის კომპლექსი. არასდროს ვიყავი ის ტიპაჟი, რომელსაც ერთი ქალი მოსწონს და უყვარს, ყოველთვის მრავალფეროვნება მიყვარდა და თუ რაღაც არ გამომდიოდა ისე, როგორც მე მინდოდა, ისე გადავსულვარ ერთიდან მეორეზე, რომ ის პირველი მაშინ გამხსენებია, როდესაც შემთხვევით სადმე შევხვედრილვარ.

***უცხო ქვეყანაში თუ იცხოვრებდით?***

–დროებით ალბათ შევძლებდი და გავძლებდი, მაგრამ დიდი ხნით და სამუდამოდ არა და ვერა, რადგან მე ჩემს ხობს არა ფიზიკურად, სულიერად ვარ მიჯაჭვული.

***რა პარალელს გაავლებდით მორჩილებასა და პატივისცემას შორის?***

–პატივისცემა ორი სულიერად ძლიერი ადამიანის ურთიერთობაა, მორჩილება კი თავად ამბობს, რომ ერთ-ერთი სუბიექტი მორჩილი ანუ უფრო სუსტია. აქედან გამომდინარე, ადამიანები არჩევანს თვითონ აკეთებენ, ვისთან ექნებათ ურთიერთობა, პატივსაცემ პიროვნებებთან, თუ მორჩილებისათვის მზა-შეუმდგარ ადამიანებთან.

***ეშმაკი ადამიანი საშიშია?***

–გინდათ გულწრფელად გითხრათ, ეს კითხვა ძალიან არ მომწონს. ეშმაკი დაცემული ანგელოზია და დაცემული ადამიანის საშიშროებაზე საუბარი ზედმეტიც კია.

***რას ნიშნავს თქვენთვის ხობელობა?***

–მე ვარ ხობელი, ეს ჩემთვის ნებისმიერ დროსა და საქმეში ამოსავალი წერტილია. ხობელობა ჩემი ოჯახის, მეგობრების, მეზობლების, ნაცნობების, უცნობების, ხობის სტუმრების, ხობიდან სხვაგან წასული ჩემი მასპინძლების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობაა, სადაც ჩემი საყვარელი „ოდაბადეს" სახელი მთელი გრძნობითა და ღირსებით უნდა ვატარო.

***რა აზრის ხართ გაზეთ „ხობის მოამბეზე?***

–უპირველესად ხობელი ვარ და გაზეთი „ხობის მოამბე" ძალიან ფასეულია ჩემთვის. სასურველია გაზეთი ხობის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელთან უახლესი ამბებით მიდიოდეს და რაც შეიძლება მეტ ხობელს ჰქონდეს მისი ისეთივე მოლოდინი, როგორიც ჩვენ გვაქვს–თქვენს აქტიურ მკითხველებს.

კოლეგა

# „ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია"



**ჩვენი სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სალომე ქაჯაია**

**სალომე, შენ ხობელთათვის ახალი სახე ხარ, აქედან გამომდინარე, ამ შაბლონურ კითხვას გვერდს ვერ ავუვლი, გაგვეცანით თუ შეიძლება?**

–დავიბადე და გავიზარდე ხობში. დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მყავს დედა – ბელა გვილია, პროფესიით ექიმი, მამა – როლანდი ქაჯაია, უფროსი და ნანა, რომელიც დედის კვალს გაჰყვა და პროფესიით ექიმია და ჩემი ტყუპი ძმა – დათო. ამჟამად ვმუშაობ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

**როდის და სად დაიწყო შენი სამსახურებრივი კარიერა?**

–ჩემი სამსახურებრივი კარიერა დაიწყო 2009 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე. ეს თარიღი ჩემთვის, ამ ბრწყინვალე დღესასწაულთან ერთად სიმბოლურიცაა, რადგან ეს ის პერიოდია, როცა უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდას ყველაზე რთული პერიოდი უდგას ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყებად ან არდასაწყებად, სწორედ ამ დროს ჩემს ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად ჩნდება ბატონი იგორ ტყებუჩავა (ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი), მაშინ შ.პ.ს. „ხეთის დაფნა და ციტრუსის" დირექტორი გახლდათ და მიწვდის დახმარების ხელს, სიმართლე გითხრათ, რომ არა ეს ხელი, ალბათ მე დღეს „აქ" არ ვიქნებოდი. ამისათვის მას კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო.

**როგორც ვიცი, ამ თანამდებობაზე სულ ცოტა ხანია რაც მუშაობ, ხომ არ გაგიჭირდა?**

–ორი თვეა რაც ამ თანამდებობაზე გადმოვედი და პროფესიიდან გამომდინარე, ყველაზე ახლოა ჩემთვის, აქ იმდენად თბილი და ერთმუშტად შეკრული გუნდი დამხვდა, რომ ამის პრობლემა არ შემქმნია.

**როგორია შენი როლი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში?**

–როგორ გითხრათ, ჩემი და ზოგადად განყოფილების მოვალეობაა მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციური პროცესების მართვა. მინდა გავიხსენო ასეთი სიტყვები, რომელიც ეკუთვნის PR–ის „მამად" წოდებულ არტურ პეიჯს: „ყველაფერი იწყება საზოგადოებრივი ნებართვით და არსებობს მისი კეთილგანწყობის შედეგად." ჩვენი როლი კი იმაში მდგომარეობს, რომ თვალყური ვადევნოთ და აღნიშნულ პროცესებში შევინარჩუნოთ საზოგადოების კეთილგანწყობა.

**როგორც ჟურნალისტი, როგორ ფიქრობ, უნდა იყოს თუ არა პრესა თავისუფალი?**

–რა თქმა უნდა, პრესა და ზოგადად ჟურნალისტიკა თავისუფლების გარეშე არ არსებობს. „ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია, ისე, როგორც პროფესიონალ ადვოკატს მოეთხოვება, იგი გამართულად, პროფესიონალურად და კომპეტენტურად უნდა იცავდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი „სუბიექტის"–საზოგადოების ინტერესებს.

**შენთვის, როგორც პიროვნებისთვის, სად იწყება და სად მთავრდება თავისუფლება?**

–მინდა გითხრათ, რომ მე ვარ „თავისუფალი" ადამიანი. დიახ, ბრჭყალებს ვიყენებ იმიტომ, რომ გარკვეულწილად მე სასიამოვნოდ დამოკიდებული ვარ იმ პრინციპებზე, რასაც მართლმადიდებლობა ჰქვია.

**ყველაზე დასამახსოვრებელი დავალება შენი მუშაობის პერიოდში?**

–ეს არის ინფორმაცია გამწვანების აქციის კვირეულების შესახებ. თემა სახელწოდებით– „დარგე ხე, გაალამაზე შენი ქალაქი", რომელიც საქართველოს მასშტაბით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა–კურთხევით მიმდინარეობს და რომელშიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით, ხობის საჯარო მოხელეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ეს იყო ამ სამსახურში გადმოსვლისას მიღებული პირველი დავალება და ჟურნალისტურ სამყაროში ჩართვის ჩემი ერთგვარი სავიზიტო ბარათი.

**შენ და შენი სამეგობრო წრე...**

–ეს არის ის, რის გარეშეც მე უბრალოდ ვერ ვიცოცხლებ. მეგობარი ჩემთვის ყველა და ყველაფერია, თან მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი სამეგობრო წრე ძირითადად საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისგან შედგება.

**ხარ თუ არა მიმტევებელი?**

–ვარ და მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია, თითქმის არ მახსენდება შემთხვევა რამე მწყენოდა და გულში ჩამედო.

**რას ვერ აპატიებდი მეგობარს?**

–შეიძლება ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ყველაფერს ვაპატიებდი, ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში ღვთის წყალობით არ ყოფილა შემთხვევა, მსგავსი დილემის წინაშე დავმდგარვიყავი. ზოგადად ვთვლი, რომ მიუტევებელი არაფერია.

**როგორ ფიქრობ, ხვალინდელი დღე, რომ დღევანდელზე უფრო კარგი იქნეს, ამისათვის რა არის საჭირო?**

–იმედი და რწმენა... რწმენა იმისა, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ღვთის ნებაა... გვჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

**ნინო გერგაია**

ჯანდაცვა_ხელისუფლების პრიორიტეტი

# მისი ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია

ნათქვამია,–თვალები სულის სარკეაო. ამ ქალბატონის თვალები ყოველთვის სიმშვიდეს, თანაგრძნობას და სიყვარულს გამოხატავს. თუ დაკვირვებით შეხედავ,–იგრძნობ შორს მიმალულ სევდასაც, რომელიც მხოლოდ მისი საკუთრებაა და არავის, ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი არ უმჟღავნებს, რადგან არ უყვარს თავის განცდებზე, პირად ემოციებზე სხვასთან საუბარი. მიაჩნია, რომ ადამიანი თავის სადარდებელს თვითონ



უნდა მოერიოს.

მაგრამ არის მასში ისეთი რამ, რომელზეც შეუძლია დაუსრულებლად და გატაცებით ილაპარაკოს, ესაა მისი პროფესია, მისი პაციენტები, ზოგადად კი ჯანდაცვა. იგი ყველას უყვარს, ენდობიან, სჯერათ მისი.

ქალბატონი ნათელა ჯიჯელავა აფხაზეთში, გულირიფშის რაიონში დაიბადა. მედიცინისადმი განსაკუთრებული სიყვარული მისმა ოჯახმა განაპირობა. მამა–დავით ჯიჯელავა ქირურგი-გინეკოლოგი და გულირიფშის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. დედა–ლოლა წითლიძე ამავე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი მედდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ნათელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, გაიარა ინფექციურ სნეულებათა ციკლზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 2001 წელს მიიღო სერთიფიკატი „შინაგანი მედიცინა“.

ქალბატონი ნათელა იმითაც არის გამორჩეული, რომ იგი მუდმივად ცდილობს აიმაღლოს პროფესიული დონე, გაეცნოს სიახლეებს, გამოიყენოს ეს სიახლეები პრაქტიკულ საქმიანობაში. ამიტომაც ქალბატონ ნათელას სამუშაო მაგიდაზე მუდამ იპოვით სხვადასხვა სახის სამედიცინო ლიტერატურას, თანამედროვე ჟურნალ–გაზეთებს, სადაც მედიცინის უკანასკნელი მიღწევებია ასახული.

2005–2008 წლებში ქალბატონმა ნათელამ საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში გაიარა დიპლომის შემდგომი უწყვეტი პროფესიული განათლების დასწრებული პროგრამის კურსები და ტრენინგები, რისთვისაც მიიღო უპგ–ს I ტიპის კრედიტქულები–225.

ასეთია ოფიციალური მონაცემები ქალბატონზე, ექიმზე, სამი შვილისა და ექვსი შვილიშვილის ბებიაზე, ქალბატონ ნათელა ჯიჯელავაზე, რომელსაც 2009 წლის 7 აგვისტოს დამსახურებული ჯილდო–ღირსების ორდენი გადაეცა, ეს მაღალი ჯილდოც ქალბატონმა ნათელამ, მორიდებული, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მიიღო ისე, როგორც მას ჩვევია, თავმდაბლობა ხომ მისი ცხოვრების თანმდევია. როგორც ყველა განათლებულ ადამიანს, ქალბატონი ნათელაც თავისთავზე ძუნწი მოსაუბრეა, მაგრამ ჩვენი დიალოგი მაინც შედგა.

* * *

ექიმობა ოჯახურმა გარემომ გადამაწყვეტინა. ბავშვობიდან ვოცნებობდი ექიმი გამხდარვიყავი და მეც მამაჩემივით გადამერჩინა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, შემემსუბუქებინა მათთვის ტკივილები, თავდაპირველად ეს უფრო რომანტიკული გატაცება იყო, რომელიც მერე პროფესიის სიყვარულში გადაიზარდა.

* * *

განსაკუთრებული თვისება, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ექიმს, ადამიანის, პაციენტის სიყვარულია.

* * *

ჩემი სტუდენტობის პერიოდი დაემთხვა, ქართული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლების მოღვაწეობას. ლექციებს გვიკითხავდნენ საყოველთაოდ ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, როგორებიც იყვნენ: თამარ დეკანოსიძე, ანეტა ჟღენტი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ირაკლი ტატიშვილი და მრავალი ცნობილი სახეები.

* * *

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე წალენჯიხის რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების ექიმად, შემდეგ თერაპიული განყოფილების თერაპევტ-ორდინატორად. 1999 წლიდან დღემდე ვმუშაობ ამბულატორიულ–პოლიკლინიკური გაერთიანების უბნის თერაპევტად.

* * *

10–15 წლის წინანდელი ექიმის მუშაობა დღევანდელ მუშაობასთნ რადიკალურად შეცვლილია. თუ წინათ, დიაგნოზის დასმა ძნელი იყო და იგი ხშირ შემთხვევაში ინტუიციაზე დაყრდნობით და პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობოდა, დღეს დიაგნოზის დასმა გაადვილებულია, რადგან ამაში გვეხმარება თანამედროვე გამოკვლევის მეთოდები, როგორიცაა ულტრაბგერითი, კომპიუტერული, მაგნიტურ–რეზონანსული, ექოსკოპიური გამოკვლევები; ამის გარდა, ხობში გაიხსნა ახალი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტიპის საავადმყოფო, რომელსაც გააჩნია ძლიერი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

* * *

ღირსების ორდენით დაჯილდოებას, წინ უსწრებდა სხვა ჯილდოები–სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციის ოქროს მედალი, ჯანდაცვის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელი, ადგილობრივი თვითმმართველობის (ხობის მუნიციპალიტეტის) საპატიო სიგელი.

და მაინც... ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის მადლიერება და მათი სიყვარულია, რომელსაც მე ყოველთვის ვგრძნობ და რომელიც ძალას მმატებს...

* * *

ბევრი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შემთხვევა მახსოვს, მაგრამ ერთი ეპიზოდი მეტად მაინც ველაზე მძაფრი იყო. რამდენიმე წლის წინ, საავადმყოფოში მოიყვანეს 15 წლის გოგონა თეკლე ნარსია ახალი ხიბულიდან, რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, დიაგნოზი ასეთი იყო–ჩირქოვანი მენინგიტი. მის მკურნალობაში გამოვიყენეთ ბოჭორიშვილის მიერ მოწოდებული ახალი მეთოდი, ორი დაძაბული დღე–ღამის შემდეგ, მას ცნობიერება დაუბრუნდა, მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და იგი მოკლე ხანში სრულიად განიკურნა. ერთი სიტყვით, მე და ჩემმა კოლეგებმა ეს გოგონა სიკვდილს გადავარჩინეთ.

რა თქმა უნდა თითოეული გადარჩენილი სიცოცხლე, ჩემთვის დიდი სიხარულია.

* * *

ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის, ჩემი შვილები და შვილიშვილებია.

* * *

აქ შემეძლო დამემთავრებინა წერილი, მაგრამ იგი არ იქნებოდა სრულყოფილი თუ არ შევეხებოდი ქალბატონ ნათელას ოჯახს, მის მეუღლეს, ხობში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილ პიროვნებას–გრიგოლ (გრიშა) კუკავას, კაცს, რომელმაც ადრე დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და მარადისობაში ჩაიძირა, როგორი იყო ბატონი გრიშა? საზოგადოების პასუხი თითქმის ერთგვაროვანია–უპატიოსნესი, უწესიერესი, განათლებული და უზომოდ კეთილი, ალბათ ბუნებამაც იზრუნა იმისთვის, რათა ამ ოჯახის შვილებსაც და შვილიშვილებსაც იმავე თვისებები დაანათლა, რაც მშობლებს გააჩნდა.

წერილს ქალბატონი ნათელას საყვარელი ფრაზით დავამთავრებ: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება“.

**მანანა შულაია.**

# ვემსახურები ჩემს საყვარელ ხალხს

...მას ყველა იცნობს ხობში, ნამყოფია თითქმის ყველა ხობელის ოჯახში. მას ელოდებიან, როგორც მშველელს, მხსნელს, მკურნალს, მრჩეველს. ისიც, ჩვეული თბილი ღიმილით, მიდის ავადმყოფთან და მისი მოსვლა ერთნაირად ამშვიდებს ავადმყოფსაც და ავადმყოფის ახლობლებსაც. ყოველთვის მოზომილია, მშვიდი, საოცრად თბილი ხმით შეუძლია მძიმე მდგომარეობის განმუხტვა...



ქალბატონი ირინა ბერაია თავისი პროფესიონალიზმისა და ადამიანურობის გამო უყვართ, აფასებენ ხობში. იგი ქართული ტრადიციების მატარებელი ქალბატონია. ფიქრობს, რომ ქალმა არ უნდა გადაასწროს მამაკაცს, უფალმა ჯერ მამაკაცი შექმნა, შემდეგ მოუვლინა მას ქალი–მეორე ნახევრად და თანამოაზრედ... თუმცა, თვითონ თავისი მეორე ნახევარი, საყვარელი მეუღლე იური თოდუა ადრე დაკარგა და დღემდე მის სულს მოუშუშებელ ჭრილობად გასდევს.

ორი ბავშვით ცხოვრებას მარტო შეეჭიდა, გამოიარა ძალიან რთული პერიოდები, სულიერი დაძაბულობის და ფიზიკური დატვირთვის მძიმე დრო, მაგრამ თავისი განათლებულობით, აქტიურობით, შრომით, ზრუნვით, ზნემაღალი შემწყნარებლობით მოვიდა დღემდე.

დღეს იგი ბედნიერი დედა და წარმატებული ექიმია. მისი დამსახურების გამო ამ დღეებში მას მაღალი ჯილდო–ღირსების ორდენი გადაეცა.

* * *

დავიბადე 1953 წელს ქალაქ ბათუმში. 1970 წელს დავამთავრე ქ. ფოთის V საშუალო სკოლა, 1980 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ქ. ფოთში, 1985 წლიდან დღემდე ვმუშაობ ქ. ხობში კარდიოლოგად. გავლილი მაქვს ტრენინგები ჩემს სპეციალობაში, სხვადასხვა თემებზე, ოჯახის ექიმის კურსები და სხვა აუცილებელი სემინარები.

* * *

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები საერთო სიკვდილიანობებს შორის დაახლოებით 45%ს შეადგენს.

თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლია მართლაც სასწაულების მოხდენა, მაგრამ ხელმისაწვდომობა ჯერჯერობით პრობლემაა.

გულის დაავადებები ქრონიკული ხასიათის ნოზოლოგიურია, რომლის პრევენციაც და მკურნალობაც შესაძლებელია.

პრევენციული ღონისძიებები სწორედ ჩვენი კარდიოლოგების მუშაობის საფუძველს წარმოადგენს, რომლის მთავარი კრიტერიუმებია: თამბაქო–არა, მიიღო ჯანსაღი საკვები, შეინარჩუნო ზომები, წონა და ვარჯიში.

* * *

სახელმწიფო პროგრამები, გულის დაავადებებზე და ოპერაციების შემთხვევაში, მართალია, არსებობს მხოლოდ სპეციფიკურ კლინიკებში, კერძოდ გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პაციენტების კარდიო-ქირურგიული მომსახურეობა, კორონალური ანგიოგრაფია–თანაგადახდით.

გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის პაციენტებზე თანაგადახდის გარეშე.

* * *

განგებამ ისურვა და ვიდრე ოცნებას მოვასწრებდი, გამანებივრა. დადებითი გრძნობაა, როცა შენი შრომა ფასდება, თუმცა უზარმაზარი პასუხისმგებლობა და შიში ახლავს თან, იმიტომ, რომ გამორჩეულობის შეგრძნება არასოდეს მქონია. სახელმწიფოსაგან, ქვეყნისაგან მხარდაჭერა დიდ სტიმულსა და ენერგიას მაძლევს. მართალია მე ირინა ბერაია ვარ და ჩემს საკეთებელს ვაკეთებ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ჩემი მეუღლის იური თოდუას ჩრდილში ვიმყოფები, ამ ფაქტორსაც ვეპოტინები.

* * *

საქმის ჩუმად კეთება მირჩევნია, ზედმეტად გამოჩენა არ მიყვარს, ამიტომ ცოტა უხერხულობის შეგრძნება მქონდა, მაგრამ თან სიამაყეც მეუფლებოდა, როცა გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ მედალი გადმომცა. დასაჯილდოვებელ 6 პიროვნებას შორის მხოლოდ ერთი ქალბატონი გახლდით. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ იმ გარემოს დამსახურებაა, რომელშიც ვტრიალებ.

* * *

ამ შეფასების მოპოვება საკმაოდ ძვირად დამიჯდა, იყო ბევრი უძილო ღამე, ნერვიულობა, სტრესი, უამრავი სირთულე, თუმცა ამის გარეშე მიღწეულს გემო არა აქვს. ჩემზე გაცილებით კარგებიც არიან. ბედის მადლიერი ვარ, სიკეთის დანახვის და აღიარების ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების გარემოცვაში, რომ მიწევს ყოფნა.

* * *

ძნელი არ არის იყო კეთილი, უფრო ძნელია იყო სამართლიანი, ორმაგად სასიხარულო, იყო ეს ყველაფერი, იმიტომ რომ ყველაზე ბედნიერ დღეს (შვილის ქორწილის) დღეს გახმოვანდა. მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო რაიონის ხელმძღვანელობის, ყველა ხობელის და იმ ადამიანების მიმართ, ვინც თუნდაც ერთი მარცვალი შემაწია სიტყვაში „დაჯილდოვდეს“.

ყველაფერი სტიმულს მაძლევს, კიდევ უფრო გაორკეცებული ენერგიით და შემართებით ვემსახურო ჩემს საყვარელ ხალხს.

* * *

ვულოცავთ ქალბატონ ირინას დამსახურებულ ჯილდოს, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიმხნევეს, სიხარულს და ვეტყვით–წინ უფრო დიდი წარმატებები გელოდებათ ქალბატონო ირინა!

**მანანა შულაია**

# ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მოსახლეობისთვის

2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის შექმნას ფინანსური გარანტიები, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისთვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანები.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და სამინისტროს საზოგადოებრივ კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. სწორედ ამ საკითხზე არსებობს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება–„2011 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები“.

შ.პ.ს. „ხობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება“ გახლავთ „ზოგადი ამბულატორიული დახმარების კომპონენტის“ შემსრულებელი, რომელიც ითვალისწინებს:

* 0-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვების ამბულატორიული მომსახურეობის (იმუნიზაცია-ვაქცინაცია, სამედიცინო მეთვალყურეობა) და სამედიცინო პრობლემათა მართვას.

* ასევე განმარტავს, რომ ამბულატორიულ მომსახურეობის სპეციფიკური პირობები 60 წლის ზევით და 6-დან 60 წლამდე ასაკით დიაბეტით დაავადებულთა, ინკუირაბერუილი (ონკოლოგიური). IV კლ. ჯგუფი–პაციენტებისათვის.

*ამბულატორიული მომსახურეობის სპეციფიკური პირობები 60 წლის ზევით მოსახლეობისათვის არის, ის რომ ქრონიკული დაავადებები (ჰიპერტონული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გულის იშემიური დაავადება, ბრონქიალური ასთმა, ონკოლოგიური დაავადებები IVკლ. ჯგუფი),–უფასოა.

* ფთიზიატრული დახმარების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ტუბპროფილის მქონე, თვითდინებით მისული ან პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან მიმართული ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევას, ფთიზიატრის კონსულტაციას, ნახველის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას 3X-ადად.

* ამბულატორიულ დონეზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო ცნობები, რეცეპტების (გარდა ავტომობილის მართვის მოწმობის, იარაღის ტარების ნებართვის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა № IV 200–ა) უფასოდ გაიცემა.

* შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტებისთვის ინსტრუმენტარული და ლაბორატიული გამოკვლევები (სისხლის შრატში კრეატინინი–6 თვეში 1X, ეკგ (ელექტროიკარდიოგრაფია) და თვალის ფრესკის გამოკვლევა წელიწადში 1–ჯერ უფასოდ კეთდება.

* სადაზღვევო კომპანიების („ალდაგი,“ „ვესტი“, „ირაო“, „იმედი–L“, „აისი ჯგუფი“, „არქიმედე“) ბენეფიციარების მიღებას, როგორც ქალაქის ასევე სოფლის იმ ბენეფიციარებისათვის თუ მათ აქვთ უბნის ექიმის მომართვა (რეფერალი) ვიწრო სპეციალისტებთან–(ქირურგი, ნევროპათოლოგი, ოფთალმოლოგი, ყელ-ყური, დერმატოვენეროლოგი, უროლოგი, ონკოლოგი, უფასო მომსახურებას ითვალისწინებს.

* რაც შეეხება თერაპიულ პროფილებს, ბენეფიციარებისათვის მიღება თერაპევტთან ფასიანია, იმდენად რამდენადაც სოფლის საექიმო ამბულატორიები დაკომპლექტებულია საოჯახო ექიმებით, მუნიციპალიტეტის გამგებლის და გამგეობის ჯანმრთელობის განყოფილების ძალისხმევით ყველა სოფელში არის ექიმი.

* მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მინდა ასევე ვაუწყო, რომ ტუბმკურნალობის დამყოლობის გაუმჯობესებისა და DOT მეთვალყურეობის (ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებით მკურნალობის განხორციელებაზე მეთვალყურეობა) წარმატებით ჩატარება კვების პროდუქტების მისაღებად ხდება ტალონების გაცემა.

* გარდა ამისა, რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში დაავადებულებს ეძლევათ 25 ლარი კვირაში 1X. გაზის ფული კილომეტრაჟის გათვალისწინებით, სენსიტური (ჩვეულებრივი) ტუბერკულოზის შემთხვევაში თვეში 1X–15 ლარი.

მობრძანდით, გელით კომფორტულ, სასიამოვნო გარემოში.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

**მანანა საჯაია**

# „ნეტავი შვილთა მრავალთა...“

16 წლის მაკა, 12 წლის ნიკა, 5 წლის ტყუპები ლუკა და ალექსი, ლავანდა (თათია) ალანიას და ირაკლი ჯგერენაიას ყველაზე ძვირფასი არსებები არიან. ეს მხიარული და მართლაც მადლიანი ოჯახი ხობში ცხოვრობს. იქიდან ისეთი გულსავსე წამოვედი, ყოველდღიური პრობლემები, რომლებსაც აქამდე განვიცდიდი, უმნიშვნელოდ მომეჩვენა...

მასპინძლის მიგნება არ გამჭირვებია, როგორც კი მათ ჭიშკარს მივადექი, ბავშვების ჟრიამული შემომესმა. მობრძანდით,—თავაზიანად მიმიპატიჟა ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისმა ქალბატონმა ლავანდამ და ვრცლად მესაუბრა უფლის წყალობაზე, რომელსაც მრავალშვილიანი დედობა ჰქვია.

## სადაც დიდი სიყვარულია

***ამ კითხვას ალბათ ხშირად გისვამენ, არ გიჭირთ ოთხი ბავშვის გაზრდა?***

–რა თქმა უნდა, ოთხი შვილის გაზრდა ადვილი არ არის, ვიტყვი, ძალიან მძიმე და სასიამოვნო ტვირთია, მაგრამ ყოველ დღე ვხვდები, თუ როგორ მეხმარება უფალი. ვიცი, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია და ვცდილობ, ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადო. შვილები აღვზარდო ისე, რომელთაც შეეძლებათ უფლის სიყვარულითა და სიკეთით ემსახურონ საკუთარ ქვეყანას.

***სამსახურისა და საოჯახო საქმეების შეთავსებას როგორ ახერხებთ, მითუმეტეს, რომ მრავალშვილიანი დედა ბრძანდებით, თანაც საბავშვო ბაღშიც მუშაობთ, იქ რამდენ პატარას ზრდით?***

–როცა ნებისმიერ საქმეს სიყვარულით ეკიდები, ალბათ ყველაფერს ართმევ თავს. ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური და ვცდილობ ოჯახზე და სამსახურზე თანაბრად ვიზრუნო. უკვე ცხრა წელია ხობის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში აღმზრდელის თანაშემწედ ვმუშაობ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომწონს და მსიამოვნებს პატარებთან მუშაობა. მართალია ძალიან საპასუხისმგებლო სამსახურია, გონების მობილიზება გჭირდება, რომ თითოეულ მათგანს მოუსმინო, გაითვალისწინო მათი თხოვნები, დარიგება მისცე ყველას, მაგრამ ამას დიდი სიყვარულით ვაკეთებ. 22 პატარას ვუვლი, ბავშვებზე ზრუნვა ჩემთვის სიამოვნებაა. როცა მათ სიყვარულით ანთებულ თვალებს ვუყურებ, ვხვდები, რომ მათაც ვუყვარვარ, ეს ჩემთვის ყველაზე სასურველი განცდაა.

***შვილების გაზრდაში ვინ გეხმარებათ?***

–დედამთილი ბელა ქარჩავა, რომელსაც ძალიან ვაფასებ. ყველაფერში მიწყობს ხელს. ის არამარტო მეხმარება, არამედ, ზოგჯერ დედის როლსაც ითავსებს. მეამაყება, რომ ჩვენ ასეთი დედა–შვილური ურთიერთობა გვაქვს.



***ალბათ ღვთის წყალობაა, რომ მრავლდებით. კიდევ ხომ არ აპირებთ შვილის გაჩენას?***

–ნამდვილად ღვთის წყალობაა და უფალს მადლობას ვწირავ ყველაფრისთვის, რადგან ბედნიერების ღირსად ჩამთვალა, რამეთუ „ქალი შვილთა მსხმოიარობით ცხონდების“.

ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, მომავალში რა იქნება, უფლის ნებაა.

***მრავალშვილიანობა ტრადიციად მოგდგამთ?***

–დიახ. დედაჩემი შვიდი დედ-მამიშვილია, მამა–ოთხის, ირაკლის ბებიაც მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილა.

***ოჯახში პატარებისთვის დროის განაწილებას როგორ ახერხებთ?***

–მათ სიყვარულსა და სითბოს თანაბარი განაწილება სჭირდებათ, ღვთის შეწევნით, ვახერხებ იმას, რომ არც ერთ მათგანს მოაკლდეს ყურადღება და დედის სითბო. პატარების შეკითხვების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება და ვცდილობ, თითოეულის ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო.

***როგორია თქვენი საოჯახო კალათა, მხოლოდ თქვენ მუშაობთ?***

–სახელმწიფო სტრუქტურაში მხოლოდ მე ვმუშაობ, ჩემი ხელფასი 80 ლარს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი დიდი ოჯახისთვის ზღვაში წვეთია, მაგრამ მეუღლეს აქვს მცირე ბიზნესი, დედამთილ-მამამთილიც მეხმარებიან, ყველანი ერთმანეთს ვუწყობთ ხელს, რათა ბავშვებს აუცილებელი არ მოაკლდეთ, დედა, მეხმარება რომელიც სამუშაოდ საზღვარგარეთ იმყოფება, ასე, რომ შვილების რჩენას ვახერხებთ.

***სახელმწიფო თუ გეხმარებათ, ანუ რაიმე სოციალური შეღავათით თუ სარგებლობთ?***

–სახელმწიფო მხოლოდ პატარებს საბავშვო ბაღის მომსახურეობას უხდის, სხვა რამე შეღავათით არ ვსარგებლობთ. მე ხომ შვილებს იმიტომ არ ვაჩენ, რომ სახელმწიფოსგან დახმარებას ველოდები.

***როგორ გესახებათ თქვენი შვილების მომავალი?***

–მომავალი ღმერთზეა დამოკიდებული, უფალს ვევედრები, მომცეს ძალა ჩემს შვილებს გვერდში დავუდგე და საქართველოს საამაყო მამულიშვილებად გავზარდო.

***რას უსურვებდით ახალგაზრდა და სხვა მრავალშვილიან დედას?***

–პირველ რიგში ჯანმრთელობას, დათმენასა და უფლის წყალობას. ვისურვებდი, რომ ყველა ქალი გამხდარიყოს იმ წყალობის ღირსი, რასაც მრავალშვილიანი დედობა ჰქვია. უფლის ამ საჩუქარს დიდი დაფასება და გაფრთხილება სჭირდება.

***ესაუბრა***
***ნანა კემულარია.***

# `mogeferebiT anbano~

დილიდანვე საოცრად აბრწყინებდა მზე პირველ მაისში. მზე ენთოთ გულებში პირველკლასელებსაც: დღეს ხომ ანბანთქების ზეიმი ჰქონდათ სკოლაში. არა, სკოლაში კი არა, სოფლის კლუბში. ღელავდნენ პატარები, - ისინი ხომ პირველად გადიოდნენ სოფლის დიდ სცენაზე. ღელავდნენ და თან ლამაზი ფუმფულა კაბებითა და ვარცხნილობებით თავს აწონებდნენ ერთმანეთს.

ლამაზად მორთული გახლდათ სცენა: უამრავი ყვავილი, მზის სხივებით განათებული ქართული ანბანის ასოები, დაკიდებული ბუშტები და მერცხლები, სწავლას დაწაფებული ქალ-ვაჟის სურათი–საოცარ გრძნობას აღვიძებდა მნახველში: იფიქრებდი თითქოს თვით „დედაენა“ მოსულიყო



ზეიმზე...

პირველკლასელები კიდევ ერთხელ გაამხნევა დამრიგებელმა ლალი ფეტელავამ, რომელმაც მოამზადა ბავშვები ღონისძიებისათვის და აი, კონცერტიც დაიწყო.

ბავშვებმა ჯერ ანბანის შექმნის ისტორია ლამაზად უამბეს მაყურებელს, შემდეგ ქართული ასოები გააცნეს მათ და ანბანზე სიმღერა ნაზად და ფაქიზად იმღერეს. სიმღერებს ლექსები ენაცვლებოდა, ლექსებს კი საბავშვო სკეტჩები. აი, „მუქთამჭამელაც“ გამოჩნდა სცენაზე საგანგებოდ მორთულ –მოკაზმული. პირველკლასელებმა მოახერხეს და „მუქთამჭამელა“ წესიერ, მშრომელ ბიჭადაც კი აქციეს. შემდეგ მოჩხუბარი „მზე და წვიმა“ შეარიგეს–რიგრიგობით გამოჩნდით ცაზეო.

პირველ მაისში რომ ბევრი ხელოვანია, ამას ამტკიცებდა სწორედ პირველკლასელთა მიერ შესრულებული „სამაია“ და „აჭარული“. ცეკვები დადგა და მოამზადა XI კლასის მოსწავლემ გიორგი იოსავამ, რომელიც ანსამბლ „კოლხეთის“ სოლისტია.

მხიარული და კმაყოფილი ჩანდა მაყურებელი–აპლოდისმენტები არ ეშურებოდა და „ბრავოს“ შეძახილით ამხნევებდა პატარებს.

პატარებმა კი ისეთი „აურზაური“ მოაწყვეს სასიტყვეთში, რომ მაყურებელს ერთი სული ჰქონდა გაეგო: თუ რითი დასრულდებოდა ეს ამბავი. ბავშვები სიტყვებს დაეხმარნენ და „აურზაურიც“ ჩაცხრა.

კონცერტის ბოლოს პირველკლასელებმა გულით შეჰფიცეს ქართულ ანბანს, ქართულ წიგნს, ქართულ სიტყვასა და სრულიად საქართველოს, რომ იქნებოდნენ ერთგულნი და მოყვარულნი მშობლიური ენისა და სამშობლოსი. ფიცი ისეთი გულწრფელი და მტკიცე ჩანდა, რომ მათ სიტყვებში ეჭვიც არავის შეპარვია.

კიდევ ერთმა ლამაზმა და ჭკვიანმა თაობამ გაიარა სწავლის პირველი წელი ასე ლამაზად და წარმატებით. ეს დღე დაუვიწყარი იქნება პირველკლასელებისათვის, მასწავლებლებისათვის, მშობლებისა და მაყურებლისათვის.

მე, როგორც მშობელმა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლასის ხელმძღვანელს: ლალი ფეტელავას, მუსიკის მასწავლებელს: ნათია ლატარიას, ცეკვების დამდგმელს გიორგი იოსავას, თითოეულ მშობელს მხარდაჭერისათვის და რაც მთავარია, მადლობა პატარებს, რომ ასეთი კარგები და ლამაზები იყვნენ.

**„და იმ ბედნიერ დღეს**
**გაუმარჯოს,**
**როცა თქვენ გაჩნდით ამ**
**ქვეყანაზე...“**

**ნინო კვიკვინია,**
***პირველი მაისის ე.შუშანიას სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგი.***

## ომის ექო

# ჩვენ ერთად ვიბრძოდით

***ომის ქარცეცხლიან წლებს, მათზე მოგონებებს, ომგადახდილთა მონათხრობებს, მათზე ნარკვევებსა თუ ჩანახატებს ათეული წლებია აშუქებს ჩვენი გაზეთი. არა ერთი რუბრიკა მიგვიძღვნია ამ ადამიანებისთვის. მართლაც ჩვენი გაზეთი არავის და არაფერს ივიწყებს, მით უფრო ფრონტულ ცხოვრებას...***

***ამას წინათ რედაქციაში ქალბატონი ეთერ გაბედავა მობრძანდა, რომელმაც ჩვენი გაზეთის წინამორბედი გაზეთი „კომუნიზმის მშენებელის“ ერთი ნომერი მოიტანა, რომელიც 1981 წლით არის დათარიღებული და უმორჩილესად ითხოვა ამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, რომლის ავტორი გახლავთ ივან ნიკოლაენკო, კიდევ ერთხელ გამოქვეყნებულიყო. ამით კიდევ ერთხელ პატივი მიგვეგო თავისი მამის, ომში დაღუპული მებრძოლის კალისტრატე გაბედავას ადრე შეწყვეტილი სიცოცხლისათვის.***

***ვაქვეყნებთ ჭალადიდელ კალისტრატე გაბედავაზე პრიმორსკის არმიის 388-ე მსროლელითა დივიზიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის, თადარიგის კაპიტნის ივან გრიგოლის ძე ნიკოლაენკოს მოგონებას.***

„1941 წლის შემოდგომაზე ბედმა კავკასიაში შეგვყარა–ქუთაისში, სამტრედიასა და წულუკიძეში ყალიბდებოდა 383-ე მსროლელთა დივიზია. ოთხი თვის განმავლობაში ვემზადებოდით მებრძოლები, რათა მონაწილეობა მიგვეღო ყირიმისათვის ბრძოლებში.

ქალაქ წულუკიძეში 782-ე მსროლელთა დივიზიაში მსახურობდა თქვენი თანამემამულე, ჭალადიდელი აგრონომი, ხობელი სერჟანტი კალისტრატე ფილუს ძე გაბედავა.

როგორც თავისი თანამებრძოლები იგონებენ კ. გაბედავა ყოველთვის გამოირჩეოდა მტკიცე დისციპლინით და სამხედრო საქმის ცოდნით და ამასვე მოითხოვდა სხვისაგან.

ძნელი დრო იყო, მტერი უკრაინის მისადგომებს უტევდა, დაიპყრო ბელორუსია, ბალტიისპირეთი, ემუქრებოდა მოსკოვს, სტალინგრადს და კავკასიას.

ჩვენ ფოთიდან სევასტოპოლის მიმართულებით გაგვგზავნეს და აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავებით.

მტერმა ვერ შეძლო ერთბაშად ქალაქის აღება და სევასტოპოლის მეორე შტურმისათვის ემზადებოდა.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების ნახევარი წლის „იუბილის“ აღსანიშნავად, გენერალ მაგშტეინმა გადაწყვიტა ჰიტლერისათვის მიერთმია ძვირფასი საჩუქარი–1941 წლის 31 დეკემბერისათვის აეღო სევასტოპოლი. ჰიტლერმა კი მადლობის ნიშნად გადაწყვიტა მისთვის ქალაქ სევასტოპოლის პირველი კომენდატობა ებოძებინა.

ქალაქის მისადგომებთან თავი მოვუყარეთ საბრძოლო ტექნიკის დიდძალ რაოდენობას. მტერმა ეს ყველაფერი „გაითვალისწინა“, მაგრამ ვერ გათვალისწინა მხოლოდ საბჭოთა ჯარისკაცების უმაგალითო გმირობა და თავდადება, სწორედ აქ, სევასტოპოლის მისადგომებრთან გატყდა ფაშიზმი.

ამ ბრძოლებში მედგრად იბრძოდა კ. გაბედავა, იგი უკრაინიდან ხელმძღვანელობდა თავის მებრძოლებს, ცეცხლითა და ხიშტით, ყველა სახის საბრძოლო იარაღით უტევდნენ მტერს.

ამ ბრძოლაში განადგურდა მტერი, დიდძალი დანაკლისი განვიცადეთ ჩვენც. აქ მიიღო ჭრილობა კ. გაბედვამაც, რომელსაც არ მიუტოვებია ბრძოლის ველი და „მწყობრში“ მკურნალობდა.

და, როგორც ნაწილის ხელმძღვანელები და მებრძოლები იგონებენ, სერჟანტი კ. გაბედავა სნაიპერული სიზუსტით ხოცავდა მტერს.

მტერი მაინც არ თმობდა პოზიციას, მესამედ შეუტია სევასტოპოლს. დასისხლიანებულნი, მშიერ-მწყურვალნი ჩვენი მებრძოლები მედგრად უმკლავდებოდნენ გერმანელთა შემოტევას და ეს გრძელდებოდა. რვა თვის განმავლობაში ჩვენ გავუძელით იმიტომ, რომ ეს იყო პარტიის, სამშობლოს ბრძანება! ძახილი!

სევასტოპოლისათვის წარმოებული ბრძოლების ბოლო ეტაპში მამაცთა სიკვდილით დაეცა ჩვენი თანაპოლკელი, 782 მსროლელთა ნაწილის ერთეულთა მე-3 განყოფილების სერჟანტი კალისტრატე გაბედავა, რომელმაც ბოლო ამოსუნთქვამდე პირნათლად მოიხადა მებრძოლი–მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობა.

კ. გაბედავა მშობლიური კავკასიისათვის თავდადებულ თანამებრძოლებთან ერთად ბალაკვავსკის გზატკეცილის მე–5 კილომეტრზე, საძმო საფლავში განისვენებს.

ჩვენ ხშირად მოვდივართ ამ საძმო საფლავთან, რათა პატივი ვცეთ იმათ ხსოვნას, ვინც სისხლი დაღვარა და ყველაზე ძვირფასი–სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას.

დიდხანს ვეძებდით ჩვენი თანაპოლკელის ოჯახს და ბოლოს შევიტყვეთ, რომ კ. გაბედავას მეუღლე ზინაიდა და შვილი ეთერი ცხოვრობდნენ ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში, ხოლო ვაჟიშვილი–ბონდო ქალაქ ფოთში.

ასევე პატარა ფოთში ცხოვრობს ჩვენი თანამებრძოლები ნიკოლოზ მესხი და ნიკოლოზ ქავთარაძე.

კ. გაბედავას ოჯახი გვეპატიჟება მზიურ საქართველოში, გადაწყვეტილი გვაქვს მოვინახულოთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები და სერჟანტ კ. გაბედავას ოჯახსაც ვეწვიოთ და თანასოფლელებს მოვუყვეთ სამშობლოსათვის დაღუპული გმირის უკვდავებაზე.“

# ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ იუბილეს შესახვედრად

კოლხ–იბერთა ენა ტკბილხმოვანი ქართულია. ჰანგი ჰამო ობირეში, ფოლკლორის მოვლა–პატრონობა, შესწავლაც კი ყველას ვალია, რაც უფრო მეტი გვეცოდინება ჩვენი წარსულის შესახებ, ღრმად ჩავიხედავთ მეგრული სიმღერისა და პოეზიის ლაბირინთებში, მით უფრო მდიდარნი ვიქნებით.

ხუთი წელია, სწორედ ამ რწმენითა და შემართებით ვმუშაობთ მუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში, მით უფრო, როცა მისი ზედსახელიც „სამეგრელოა“.

ქართველი ერის აკვანი–აიაში დაირწა. დღესაც, კოლხ–იბერთა ქვეყანაში, ისმის შორეული წარსულიდან, ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უტკბესი ჰანგი. მეგრული ტკბილხმოვანი მელოდია–ლირიზმით გაჯერებული, ასეთი სიმდიდრის პატრონნი მოვალენი ვართ, ვაკეთოთ საქმე ქართული.

მაია (მუზეუმთან არსებული გიმნაზიის მოსწავლე);

„მეგრული ხალხური სიმღერა და ხალხური საკრავები“–ლაშა ჯგერენაია (თორსის საჯარო სკოლის პედაგოგი);

„ქართული ხალხური სიმღერის კანონზომიერებანი–ბესო ბერიშვილი (თორსის საკრებულოს მდივანი);

ექვთიმე ცირდავა–ნანა ჯალაღონია (მუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის („სამეგრელო“) დირექტორი).

მე არ შევუდგები მიმოხილვას, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი საკონფერენციო თემების მიზანი იყო საგანმანათლებლო ორიენტირი–ჭეშმარიტ სასიმღერო ფოლკლორისტიკაში.

კონფერენცია გაახალისეს და დიდი მოწონება ხვდათ მუზეუმში ჩამოყალიბებული პოეზიის კლუბის „მა დუვართი აიას“ წევრებს: მარიამ ცხადაიას, ლანა ქარჩავას, სოსანა ლომაიას, ლალი ბაღბაიას, თეონა წლებში მოძიებული „ახალი“–სიმღერა „ძღაბი დო ბოშიშ ობირეში“. შერეულ გუნდთან ერთად შესანიშნავად გაართვეს თავი სოლისტებმა ნინო გოთოშიამ და მარიამ ლომაიამ, სრული ანსამბლურობით უკრავდნენ აკომპანიმენტს პატარა მეჩონგურეები: ლანა ქარჩავა, ნინო და მარი ლომაიები, ნინო გოთოშია, ანა კუკავა, ლალი ბაღბაია, თამთა კობახიძე. იყო ტაში, ოვაციები, ღონისძიება მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარდა.

კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებას „ჩვენი კუთხის საგანძური“ ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, ხობის ინტელიგენციის წარმომადგენლები. დასასრულს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს, აღნიშნა, რომ მუზეუმი ამართლებს მიზანს, რამეთუ ის ემსახურება ფოლკლორს, ვარსკვლავების აღმოჩენას, მეგმომღერალთა შორის I პრემია დაიმსახურა და საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიასაგან ძვირადღირებული საჩუქარი მიიღო.

გიმნაზიელები ხუთი წლის განმავლობაში ხობელბსა და რაიონში მცხოვრებთ ზარის ჩამოკვრიდან ცისკრამდე მეგრული პოეზიითა და სიმღერა „ჰეი მენძელით“ ულოცავდნენ შობა-ახალწელს, რასაც მოსახლეობაში დიდი რეზონანსი მოჰყვა, ეს ბავშვები ხალხმა შეიყვარა და მათთან ერთად ლოცავდნენ ბატონ გოდერძი ბუკიას. მათი ძალებით არაერთი ღონისძიება, კონფერენცია თუ კონცერტი ჩატარდა მუზეუმსა და კულტური სახლში.

სამუზეუმო ისტორიისათვის თითქმის ყველა ღონისძიება ჩავიწერეთ, ჩვენი მეგობრის საუკეთესო კოლხი ირაკლი შონიას დახმარებით.

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ფესვიდან არის აღმოცენებულ–ამოზრდილი, ამ ფესვს ფოლკლორი ჰქვია, მის

## დედასამშობლოს გასახარად

ღვთისა და საქართველოს პარლამენტის წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მეოხებით, ქართველებს კოლხეთში გვაქვს მუზეუმი, რომელიც ატარებს სამუზეუმო თეზას: ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ მივიწყებულ „ახალს“, იმავდროულად ვატარებდეთ სახელმწიფოებრივ კულტურის განვითარების პოლიტიკას ფოლკლორის განვითარების მხრივ.

2011 წლის 3 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კულტურის დღეების კვირეულს, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებით–„ჩვენი კუთხის საგანძური“ ხობის მუკუ ლოლუას სახელობის ქართული სიმღერის მუზეუმი „სამეგრელოც“ შეუერთდა. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო მუზეუმში. რამეთუ მუზეუმის წიაღში, ჩამოყალიბებულ ბავშვთა და უხუცესთა ხალხური ანსამბლების, ასევე ფოლკლორის მოყვარულთა ძალებით მორიგი კონფერენცია–კონცერტი ჩატარდა.

სამნაწილიან ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საკონფერენციო თემები, ხალხური სასიმღერო ნიმუშები და მეგრული პოეზია. ფოლკლორის მოყვარულებმა წარმოადგინეს შემდეგი თემები:

ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა–ლელა ალანია (ჟურნალისტი);

ელენე ჭუბაბრია“–მარიამ ლოფარცვანიას, ბაჩუკი კეკუსაძეს, ნინო გოთოშიას, ანა კუკავას, თათია კობახიძეს, კოტე მხეიძეს, მარიამ ლომაიას, თეონა პაპავას, ნინო და ბარბარე ლომაიებს. ისინი საზოგადოების წინაშე წარსდგნენ საინტერესო მეგრული ლექსებით, მათ მიერ წაკითხულიქნა ლაშა გვასალიას, შუკო ჯიქიას, გური ოტობაიას, გიორგი სიჭინას, ლია ნაროუშვილის, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ბეჯით ჯალაღონიასეული მეგრულად ნათარგმანები „ყილოშ ტყებამი“-დან „დაჭყაფური“.

პოეზია შეცვალა მეგრულმა სიმღერამ ყველასათვის საყვარელი ლოტბარის ბატონ რეზო თოდუას ხელმძღვანელობით. კონცერტში მონაწილეობდა მუზეუმთან არსებული ბავშვთა და უხუცეს მომღერალთა ძალებით შექმნილი ფოლკლორული ანსამბლი. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ფოლკლორული ანსამბლის ყველაზე პატარა წევრი ხუთი წლის მარიამ ცხადაიაა და ყველაზე მხცოვანი 80 წლის დაფენტი აბშილავა.

ეს არის ერთგვარი მეგობრული ხიდი უფროს და უმცროს თაობებს შორის. ისინი შეხმატკბილებულად მღეროდნენ სასიმღერო ნიმუშებს ფოლკლორული საგანძურიდან. ასევე მათ რეპერტუარში პირველად აჟღერდა ჩხოროწყუელი (1838–1913 წწ) ექვთიმე ცირდავას მიერ შექმნილი 2010–2011 რული სიმღერისა და პოეზიის პროპაგანდას. ხობის კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ ახლადშექმნილი ფოლკლორული ანსამბლის წევრები: დაფენტი აბშილავა, ტავრიზ კიკალეიშვილი, ლაშა ჯგერენაია, ბესო ბერიშვილი, ბორის ლიპარტია, გულად ჩოკორაია, იურა ვეკუა, ჯანიკო ჯგერენაია, ნუგზარ ბუკია, ცარა სიჭინავა და ლოტბარი რევაზ თოდუა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

და ბოლოს, ერთგვარი წრედი მინდა შევკრა, მუზეუმთან არსებულმა საექსპერიმენტო გიმნაზიამ „მისია ამოწურა,“ ხუთი წლის განმავლობაში ბავშვებმა ისწავლეს და შეიყვარეს ქართული სიმღერა, სიმღერა-გალობა თუ საესტრადო სიმღერა, ნუსხა–ხუცური თუ მეგრული პოეზია, ფორტეპიანოზე და ჩონგურზე დაკვრის ხელოვნება, იწვნიეს სცენისა და ტაშის გემო, წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებში. გიმნაზიას ჰყავს მრავალი კონკურსისა თუ ფესტივალებში გამარჯვებული გიმნაზიელი ნინო გოთოშია, ის სასწავლებლად მიწვეულია არტ–აკადემიაში ბატონი ვალერიან შიუკაშვილის მიერ. ნინომ თბილისში გ. ცაბაძის სახელობის კონკურსში 135 მსახურს კი „მუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)“.

მუზეუმი ძირითადად საგანმანათლებლო მოძიებით და სამეცნიერო სამუშაოებთან ერთად სამომავლოდ ორიენტირს აიღებს სასიმღერო ანსამბლების შექმნისაკენ, მუზეუმი მით უფრო სიმღერისა–ცოცხალი ბირთვის გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად მავანთა მიერ სიტყვით თუ საქმით ხელოვნურად დაბრკოლებების შექმნისა, ჩვენ გაჩერება არ შეგვიძლია, რამეთუ უფლის წყალობით, მუზეუმის ფუძემდებლის ბატონი გოდერძი ბუკიასა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას მხარდაჭერით უფრო მეტს გავაკეთებთ. მით უფრო, რომ წინ საპასუხისმგებლო მისია,–ხობის V საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ გველოდება. ყველა მონაწილესა და სტუმარს გეტყვით მადლობას, რამეთუ დღე იგი–3 მაისი, მართლაც იყო ნათელი და საშური.

ღმერთმა დაგვლოცოთ და გავახაროთ არა მარტო ნანაიაში ჰამო ბირათი, არამედ ქართული სულიერების აყვავებით ნანაშიაშ (დედასამშობლოს) გასახარად.

***ნანა ჯალაღონია, „მუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის (სამეგრელოს)“ დირექტორი.***

# წაიკითხეთ, საინტერესოა!

## პასიური მოწევა დაყრუებას იწვევს

ყველამ კარგად იცით, რომ მოწევა მავნებელია ჯანმრთელობისთვის. ეს სულ რომ არ იცოდეთ კოლოფზე დიდი წარწერა–„მოწევა კლავს“ ყველაფრის მთქმელია. მაგრამ ამაზე უარესი პასიური მწეველობაა. როგორც WIFI იუწყება,



ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა და გაარკვიეს, რომ პასიური მწეველობა ორგანიზმის დაშლასთან ერთად დაყრუებასაც იწვევს.

მაიამის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფი იმდენად გაკვირვებულები იყვნენ, რომ მოწევა სმენას აქვეითებს, მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელიც დაახლოებით სამი ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მათ რიცხვში იყვნენ ისეთები, რომლებიც საერთოდ არ ეწევიან, ასევე იყვნენ მუდმივი მწეველები და პასიური მწეველები.

ექსპერიმენტის სანდოობის და სიმართლის დასამტკიცებლად, მათ ყოველ მონაწილეს სისხლის ანალიზი აუღეს. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც პასიურად ეწევიან ან უბრალოდ კვამლს სუნთქავენ ხშირად, სამჯერ უფრო ცუდად აქვთ საქმე სმენასთან. საინტერესო ფაქტი ისაა, რომ ნიკოტინით გამოწვეული დაყრუება შეიძლება იმ დონემდე მივიდეს, რომ საუბრისას პატარა ხმაურის ჩართვის შემთხვევაში ადამიანი ვერ გაიგებს ნალაპარაკევს.

## რობოტი ალპინისტი

რობოტების გამოგონება XXI საუკუნეში არავის უკვირს, მაგრამ მცოცავი რობოტი რაღაც ახალია. ახალი ზელანდიის უნივერსიტეტ Canterbury-ში ერთ-ერთმა სტუდენტმა გამოიგონა რობოტი, რომელსაც კედლებზე



ცოცვა შეუძლია. მისი თქმით ეს ახალი ნაბიჯია ფანჯრების წმენდის ინდუსტრიაში. რობოტს ნებისმიერ ზედაპირზე შეუძლია მოჭიდება და არა მხოლოდ მოჭიდება, მას დამატებითი ტვირთის აწევაც შეუძლია. მისი მუშაობის მექანიზმი მარტივია. იგი ზედაპირზე ჰაერის გამოყენებით ჩერდება. იგი ერთგვარ ვაკუუმს წარმოქმნის, რომელსაც პატარა ძრავის საშუალებით ჰაერის ამოტუმბვით წარმოქმნის. სპეციალისტების თქმით ყოველი ასეთი ძრავი რობოტს მინიმუმ 1 წელი გამოადგება, შემდეგ უნდა შეიცვალოს, მაგრამ ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ძრავი რამდენიმე დოლარი ღირს.

სპორტი

# ჯანელი ლატარიას ხსოვნას მიეძღვნა



11-12 მაისს ქ. ხობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ხობის „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული ჯანელ (ჯანიკო) ლატარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში.

ჯანელ ლატარია 1977–88 წლებში ხობის „კოლხეთის“ ღირსებას იცავდა. 1987 წელს მან ხობის „კოლხეთთან“ ერთად საქართველოს პირველობაზე შეძლო მეორე ადგილის დაკავება, ხოლო 1988 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. უბედურმა შემთხვევამ შეიწირა კარგი ქართველის, პატიოსანი ადამიანის, შესანიშნავი მეგობრის, მეუღლისა და ორი ვაჟიშვილის მამის სიცოცხლე.

ოთხთა ტურნირი, რომელიც სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის პატრონაჟით ხობში ჩატარდა, მასში ხობის „იმედის“, ზუგდიდის „ბაიას“, სენაკის „ეგრისისა“ და აბაშის „აისბერგის“ გუნდები მონაწილეობდნენ.

ხობის „იმედმა“ და ზუგდიდის „ბაიამ“ პირველ დღეს დაამარცხეს აბაშის „აისბერგისა“ და სენაკის „ეგრისის“ გუნდები და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფინალური მატჩი დაძაბულად წარიმართა. ორივე გუნდი მინდვრის თითოეულ მონაკვეთზე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ მატჩი მაინც უშედეგოდ 0:0 დამთავრდა, შემდეგ პენალტების სერია დაინიშნა, სადაც უძლიერესები ზუგდიდელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. მათ ჯანელ ლატარიას სახელობის თასი მოიპოვეს. გამარჯვებული გუნდი ზუგდიდის „ბაია“ (მწვრთნელი თამაზ როგავა) და მისი ფეხბურთელები პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასით, მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მეორე ადგილი ხობის „იმედის“ (მწვრთნელი ზურაბ ლატარია) გუნდმა დაიკავა, რომელიც მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

ტურნირზე ორივე გუნდის ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელები ზუგდიდელი კოკა ქომეთიანი და ხობელი ვასიკო კვირტია დაჯილდოვდნენ. პრიზები მწვრთნელმა ბატონმა ლევან ნოდიამ დააწესა. გამარჯვებულები და პრიზიორები ჯანელის ვაჟიშვილმა ირაკლი ლატარიამ დააჯილდოვა.

დამსწრე საზოგადოებამ, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებმა და ოჯახის წევრებმა პატივი მიაგეს ყოფილი ფეხბურთელის ჯანელის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი. მისი უკვდავყოფისადმი მიძღვნილ ბანკეტზე მოწვეულმა სტუმრებმა ჯანელის მიერ განვლილი წლები თბილად და სიყვარულით მოიგონეს.

***P.S.* რედაქციის თანამშრომლები განსაკუთრებული ყურადღებით და გულისხმიერებით ვადევნებდით თვალს ჯანელი ლატარიას სახელობის ტურნირს, რადგან იგი მოიგონეს. არ დავიწყება ხომ უკვდავების ტოლფასია... იგი ჩვენი მეგობრისა და ახლობლის ჯულიეტა ლატარიას უფროსი ძმა და გაუნელებელი ტკივილია. ოჯახის ახლობლებს დღესაც ყურში გვიწივის დედის გოდება და ტირილი, რომელიც დრომ ვერ გაანელა, ვერ შთანთქა... გულს გვიხარებს ჯანელის ოჯახის სიკეთე და სიხარული. ოჯახისა, როგორზედაც ოცნებობდა და როგორიც თავად იყო–გულმართალი, პატიოსანი და მოყვარული...**

***თუ ამის კომპეტენცია გვეყოფა, გვინდა, ყველას მადლობა ვუთხრათ და მოვესიყვარულოთ მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის.***



ირაკლი ლატარია აჯილდოებს გამარჯვებულებს

# ხობელ სპორტსმენთა ღირსეული გამარჯვება



ივანე ქირია



გიორგი ჩხეიძე



მაქსიმ ლატარია



გოგა ადონია

ქ. ქუთაისში ჩატარდა XVIII ტრადიციული ღია პირველობა კარატე–დოში, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ოთხი სპორტსმენი–გეგა გაბისონია, მურად ქირია, გოგა ადონია და გიორგი ჩხეიძე იღებდა მონაწილეობას.

გოგა ადონიამ სამი ბრძოლა მოიგო და მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი ჩხეიძემ 6 ბრძოლა მოიგო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

10 აპრილს ქ. ფოთში კარატე–დოში ღია პირველობა ჩატარდა. აღნიშნულ თამაშში ხობელმა სპორტსმენებმა ღირსეულად იასპარეზეს. მაქსიმე ლატარიამ მესამე ადგილი, ხოლო გიორგი ჩხეიძემ ხუთი ბრძოლა მოიგო და ლიდერი კვლავ ჩემპიონი გახდა.

კარატე–დოში შეჯიბრება ქ. თბილისში გაგრძელდა, სადაც საქართველოს ჩემპიონატზე ხობელი სპორტსმენებიდან სამმა წარმატებულად იასპარეზა.

მესამე ადგილი მაქსიმე ლატარიამ დაიკავა.

გიორგი ჩხეიძე დაძაბული სამი ბრძოლიდან მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო ივანე ქირია ამ თამაშის ჩემპიონი გახდა.

ხობელებს ჩვენი მოასპარეზე სპორტსმენების იმედები გვაქვს და წარმატებებს ვუსურვებთ!

***ლაშა ჯეჯეია,***
***მწვრთნელი.***

# ტურნირმა საუკეთესოები გამოავლინა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში 20 აპრილს სტარტი აიღო და 26 მაისს დასრულდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 გუნდი, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ 4 ზონაში,–ხობის, საჯიჯაოს, შუა ხორგისა და ხეთის ზონებში. პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები აგრძელებდნენ ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

ხობის ზონიდან შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ნოჯიხევისა და ხობის გუნდებმა. საჯიჯაოს ზონიდან–ახალი ხიბულისა და ძველი ხიბულის, შუა ხორგის ზონიდან–საგვიჩიოსა და ჭალადიდის, ხეთის ზონიდან–ხეთისა და ხამისქურის გუნდებმა. მერვედფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ და მატჩები ასე დამთავრდა: ნოჯიხევი-ჭალადიდი–1:0; ხობი-საგვიჩიო–1:0; ძველი ხიბულა-ხეთა–0:0 (4:3); ხამისქური-ახალი ხიბულა–2:0.

პირველ ნახევარფინალურ მატჩში ხამისქურისა და ნოჯიხევის გუნდების შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და მატჩის ძირითადი დრო ფრედ 0:0 დამთავრდა. პენალტების სერიაში უძლიერესები აღმოჩნდნენ ხამისქურელები (5:3) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს ძველი ხიბულისა და ხობის გუნდები დაუპირისპირდნენ, სადაც ძველი ხიბულის ფეხბურთელებმა 2:1 გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

ხობის ცენტრალურ სტადიონზე მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხობისა და ნოჯიხევის გუნდები, მატჩი ნოჯიხეველთა გამარჯვებით 2:0 დამთავრდა და მესამე ადგილი დაიკავეს (ტერიტორიული ორგანოს გამგეობის რწმუნებული სოფელ ნოჯიხევში აპოლონ ალექსანდრია, მწვრთნელი რევაზ წულაია). ფინალში, რომელიც ცენტრალურ სტადიონზე 26 მაისს გაიმართა, ერთმანეთის პირისპირ ხამისქურისა და ძველი ხიბულის გუნდები წარსდგნენ. მატჩი ხამისქურელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 3:0 დამთავრდა.

ამრიგად, მუნიციპალიტეტის 2011 წლის გამარჯვებული ხამისქურის გუნდი (ტერიტორიული ორგანოს გამგეობის რწმუნებული ვასო კუკავა, მწვრთნელი დათო გრიგოლია) ფეხბურთელთა გუნდი გახდა.

მეორე ადგილი ძველი ხიბულის ფეხბურთელთა გუნდს (ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სოფელ ძველ ხიბულაში რამინ ბიგვავა, მწვრთნელები ფელიქს წურწუმია, მოკონა ქვარაია) ერგო.

ტურნირზე საუკეთესო მოთამაშეებისათვის სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები:

საუკეთესო მეკარედ რომან თოლორდავა აღიარეს–(ხამისქური).

საუკეთესო მცველი გახდა ლევან სერგია (ნოჯიხევი).

საუკეთესო ნახევარმცველი –პაატა ბუკია (ხობი).

საუკეთესო თავდამსხმელი–ლაშა თოდუა გახდა (ძველი ხიბულა).

მძლეოსნობა

# გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ

25 მაისს ქ. ხობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრება გაიმართა როგორც გუნდურ, ასევე პირად პირველობაში.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილეები ერთმანეთს შემდეგ სახეობებში ეჯიბრებოდნენ:

გოგონები–სიგრძეზე ხტომა, 60 მ. რბენა, კროსი 500მ. ჭაბუკები–სიგრძეზე ხტომა, 100 მ. რბენა, კროსი 800 მ.

გოგონათა შორის სამივე სახეობაში ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარი ჩხენკელმა გაიმარჯვა.

ჭაბუკებში სიგრძეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ ზურაბ ბაგრატიამ.

100 მ. რბენაში შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლემ ბექა შელიამ.

800 მ. კროსში ყველას აჯობა წინაგოლის საჯარო სკოლის მოსწავლემ ჯიმი ბუკიამ.

გუნდურ პირველობებში ადგილები ასე განაწილდა:

I ადგილი ხობის №1 საჯარო სკოლამ მოიპოვა.

II ადგილის მფლობელი ხობის №2 საჯარო სკოლა გახდა.

III ადგილი შუა ხორგის საჯარო სკოლას ერგო.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. შეჯიბრების ჩატარების ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრს (დირექტორი ხათუნა გერგაია).

გამარჯვებულები და პრიზიორები პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**გვერდი მოამზადა ნანა კემულარიამ.**

# ფრთხილად, თეთრი პეპელა!



ამერიკული თეთრი პეპელა საკარანტინო მავნებელია, გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ხოლო 1976 წლიდან აღინიშნა დასავლეთ საქართველოში.

აზიანებს 300-ზე მეტი სახეობის მცენარეს, განსაკუთრებით თუთას, ვაშლს, მსხალს, ამერიკულ ნეკერჩხალს, იფანს, კაკალსა და თხილს.

დასაწყისში მატლები გაფანტული არიან ბუდის მომიჯნავე ტოტებზე.

მავნებელი იზამთრებს ხის ქერქში, მცენარეულ ჩამონაცვენში, ქვების ქვეშ, სიცივისაგან დაცულ ადგილებში, სახლებში, ფარდულებსა და საბარგულებში.

საქართველოში მავნებელი იძლევა II თაობას; მაის-ივნისსა და ივლის-აგვისტოში, იშვიათად კი III, არასრულთაობას–სექტემბერში.

თუ ამერიკული თეთრი პეპელა მავნეობს ზედიზედ რამდენიმე წელი, მაშინ მცენარე ხმება!

## ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ უნდა გატარდეს კომპლექსური დაცვითი ღონისძიებები

*მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ხელმისაწვდომი, ყველაზე ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებებია აგროტექნიკური და მე-*

გილზე (მიწაზე) ალის გადატარება;

* თუ ბუდე ზედა ტოტზეა, მისი მოწვა ხდება გრძელ ჯოხზე გაკეთებული ჩირაღდნით.

VII ასაკის მატლების წინააღმდეგ ეფექტურია მათი შეგროვება, კედლებიდან ჩამოყრა და დაწვა, რათა მავნებლის, რაც შეიძლება მცირე რაოდენობა დაჭუპრდეს.

## ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიება ტარდება

მცენარეთა დაცვის სპეციალისტის დახმარებით. გამოიყენება: ბიტოქსიბაცილინი 20—30 გ/10 ლ-ზე, ბიკოლი 10-15 გ/ლ-ზე, დიპეცი 5–10 გ/10 ლ-ზე, ლეპიდოციდი 10გ/10ლ-ზე ან სინიტ–K 30-40 გ/10ლ-ზე.

*წამლობა ყველაზე ეფექტურია პეპლების მასობრივი ფრენის დამთავრებისთანავე, I ასაკის მატლის გამოჩენამდე 1-2 დღით ადრე, როცა მავნებლის კვერცხი ღია ფერიდან მუქ მოყავისფრო ფერს იღებს, ან მატლის I-II ასაკში, ბუდის ჩამოყალიბების დაწყებისას (როცა

***პესტიციდებთან მუშაობისას დაიცავით უსაფრთხოების წესები!***

*გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები!*–შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვებისა და წყლის მიღება! პესტიციდების გამოყენების წინ დახურეთ სასმელი წყლის ჭები, შეამწყვდიეთ ფრინველი, შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა, თავი შეიკავეთ საძოვარზე საქონლის გაშვებისაგან. ქიმიური პრეპარატების გამოყენებისას დაიცავით შეწამლულ ფართობზე საქონლის გაშვების ვადები (3-5 დღე). ბიოლოგიური ან ქიმიური პრეპარატების ბოლო შესხურებიდან მოსავლის აღებამდე სავალდებულო ლოდინის პერიოდი (ბიოლოგიური პრეპარატის შემთხვევაში–5 დღე, პირეტროიდებისათვის–20 დღე), რათა მიიღოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო მოსავალი.

**გახსოვდეთ!**

ამერიკული თეთრი პეპელა საკა-

# რა უნდა ვიცოდეთ ამერიკული თეთრი პეპლის შესახებ!

მავნებელი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, ზრდასრული პეპელა (იმაგო) დებს 200–2000-მდე კვერცხს მცენარის მზით განათებული ტოტების ფოთლების ქვედა მხარეს. კვერცხები ღია ფერის ქეჩით არის დაფარული.

განვითარების პროცესში მატლი, როგორც წესი, ექვსჯერ იცვლის კანს (ე.ი აქვს 7 ასაკი). ზიანი მოაქვს მავნებლის მატლს (I-დან VI ასაკის ჩათვლით) VII ასაკის მატლი ემზადება დასაჭუპრებლად.

მატლის განვითარების ციკლი გრძელდება 30-45 დღე. I-II ასაკის მატლი ფხეკს ფოთლის რბილობს ქვედა მხრიდან. შემდეგ კი მავნებელი ცხოვრობს აბლაბუდას ბუდეში, რო-



მელიც ხეზე ადვილი შესამჩნევია (ზოგჯერ ბუდე 1-1,5 მეტრსაც აღწევს). V ასაკის მატლები ტოვებენ ბუდეს და ჯგუფურად სახლობენ იმავე ტოტის საღ ფოთლებზე, ქვედა მხრიდან. VI ხნოვანების და VII ასაკის

*ქანიკური.*

## აგროტექნიკური ღონისძიებები

შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე ხდება ხის ქერქის ჩამოფხეკა მავნებლის მატლებისა და მოზამთრე ჭუპრებისაგან გასუფთავების მიზნით;

* ნასხლავი ტოტების, ჩამოცვენილი ფოთლების, ნარჩენების შეგროვება და დაწვა; ხეების ირგვლივ ღრმად შემობარვა და მორწყვა.

## მექანიკური ღონისძიება

* ივნისსა და სექტემბერში მავნებლის ჭუპრების შესაგროვებლად ხდება ხეებზე დამჭერი სარტყლების გამოყენება (ჯვალოს ტომარის ან ბამბის ქსოვილის შემოკვრა ღეროზე ცელოფნის პარკთან ერთად, წვიმამ რომ არ დაასველოს).

პერიოდულად (პეპლის გამოფრენამდე 5-7 დღით ადრე) სარტყელი უნდა მოიხსნას, დაიწვას და განახლდეს;

* მაისის ბოლოს–ივნისის დასაწყისსა და ივლისის ბოლოს–აგვისტოს დასაწყისში, სავალდებულოა, მავნებლის მატლებისაგან გაკეთებული ბუდეების ჩამოჭრა და დაწვა!

* მიმდებარე ფოთლებზე კი ალის გადატარება ჯგუფურად მცხოვრები მატლების წინააღმდეგ;

* მოჭრილი ტოტის დაცემის ად-



აბლაბუდაში შეხვეულია 1-3 ფოთოლი).

***მექანიკური ღონისძიებებისა და ბიოლოგიური პრეპარატებით წამლობის ჩატარება რეგლამენტების დაცვით, ზუსტად მითითებულ ვადებში განაპირობებს ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების ეფექტურობას!***

***ბრძოლის ქიმიური*** ღონისძიება–ტარდება მავნებლის როგორც I, ასევე II თაობის წინააღმდეგ (მატლის განვითარების IV ასაკის ბოლოდან, როცა იგი იწყებს ბუდის დატოვებას, VI ასაკის ჩათვლით).

***დაიმახსოვრეთ!*** – არაეფექტურია ქიმიური პრეპარატებით ბოლო ასაკის მატლების შესხურება!

***რეკომენდირებულია***–პირეტროიდები 10 ლ. წყალზე: დეცისი–5 გ; კარატე 1 კარაზე ზეონი–4გ; ვალსამბა – 4-8 გ; არრივო – 1 გ; ალექსანდერი, ვალსაციპერი – 2გ; ფასტაკი – 1-2გ; ალპაკი -3 გ;

დაზიანებული მცენარეების პესტიციდებით შესხურება ხდება ჩვეულებრივ ზურგსაკიდი ან „სოლო"–ს ტიპის აპარატით–დილის ან საღამოს საათებში.

***პესტიციდები შეიძინეთ მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში, ორიგინალური შეფუთვით!***

რანტინო მავნებელია!

შეეცადეთ ავტოტრანსპორტი არ გააჩეროთ მავნებლით დასახლებული ხეების ქვეშ. გამგზავრების წინ დაათვალიერეთ ავტომობილის ძარა და ტვირთი, რათა უნებურად არ გაავრცელოთ ხიდან ჩამოცვენილი მავნებლები!

თქვენი ნაკვეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს მეზობლის მიტოვებული ან უპატრონო ნაკვეთების გაკონტროლება და კომპლექსური დაცვითი ღონისძიებების გატარება!

მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ მიწის მესაკუთრეს, რომლის მოუვლელი საკარმიდამო ნაკვეთი საფრთხეს შეუქმნის მეზობელ საკარმიდამო ნაკვეთებს!

# წაიკითხეთ, საინტერესოა!

## გერმანელმა კულინარებმა ყავის ძეხვი შექმნეს

კელნის კულინარებმა, გადაწყვიტეს გერმანელი გურმანების გემოს რეცეფტორების გამოცდა და პირველებმა შექმნეს ყავის ძეხვი.

ხორცის მაღაზიის მეპატრონე პეტერ მატერნიხი და ყავის მოყვარული მიხაელ გლისი აღმერთებენ კულინარულ ექსპერიმენტებს.

მატერნიხი კლიენტებს სთავაზობდა შოკოლადიან სოსისებს და სამკურნალო ბალახებით შეზავებულ ძეხვს, თუმცა მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და აგრძელებდა ექსპერიმენტს.

ყავის ძეხვის შექმნის იდეის განსახორციელებლად, მან მიმართა თავის მეგობარ მიხაელ გლისს. მათთვის ყველაზე რთული გამოდგა ყავის ხარისხის შერჩევა. აღმოჩნდა, რომ ძეხვში ყველა სახის ყავა როდი გამოდგება. ასე მაგალითად, მძაფრი არომატის გამო, არ ივარგებს ყავა ესპრესსო.

ექსპერიმენტებისა და შეცდომების გავლით, კულინარები მივიდნენ სასურველ დასკვნამდე: მათ შედევრს ყველაზე მეტად მოუხდა რბილი ყავა კენიიდან და მექსიკიდან. ერთ კილოგრამ ფარშს 20 გრ. დაფქული ყავა ჭირდება. როგორც მოტერნიხი ირწმუნება, ყავის ძეხვი, დიდ სიამოვნებას მიანიჭებს კათხა ლუდის მოყვარულთაც.

## ქალები წლიურად 26 კგ. ტანსაცმელს ყიდულობენ

ბოლო გამოკითხვების შედეგად გაირკვა, რომ მანდილოსნები წლის მანძილზე დაახლოებით 28 კილოგრამ ტანსაცმელს ყიდულობენ. 1980 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 3-ჯერ არის გაზრდილი. გადავინაც-



ვლოთ ინგლისში. სტატისტიკის მიხედვით ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 133640 ფუნტ სტერლინგს ხარჯავს ჩაცმაში. გამოკითხული ხალხის პასუხების მიხედვით გაირკვა, რომ ყოველ მეორეს გარდერობში აქვს ისეთი ტანსაცმელი, რომელიც არასდროს არ ჩაუცვია და არც აპირებს რომ ჩაიცვას. ლუსი სინგლის ჯგუფის აზრით, დღევანდელ დღეს ქალები იმას ნაკლებად უყურებენ, თუ როგორი ხარისხისაა ტანსაცმელი. მთავარია, ყოველ დღე რაღაც ახალი ეცვათ. ეს სავსებით ნორმალურია, რადგან ისინი ტელევიზორებში ეგრეთწოდებულ „სელებრითებს" უყურებენ, რომლებიც ქუჩაში და ხალხის წინაშე ყოველთვის ახალი ტანსაცმლით ჩნდებიან. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ ევროპაში ყოველწლიურად 100 მილიარდი დოლარის ტანსაცმელი იყიდება და ეს რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ბოლო წლების მანძილზე გაირკვა, რომ აქტუალურია ისეთი სამოსის ჩაცმა, რომელიც ჰოლივუდის ვარსკვლავებს აცვიათ. რა თქმა უნდა, ზუსტად ის ტანსაცმელი არა, რომელშიც ისინი ათასებს იხდიან, არამედ პატენტები. სწორედ აქედან ირკვევა, რომ მოდაში იაფფასიანი ტანსაცმელია.

**ხსოვნა**

# რევაზ შელია



უშენობით გაუსაძლისი ორი წელიწადი გავიდა, ჩემო საამაყო შვილო, რევაზ! ბუნებით დინჯმა და მოსიყვარულემ ჩვენთან დაშორება იჩქარე მხოლოდ, იქნებ უდედობა ვერ აიტანე, ზუსტად მისი გარდაცვალების 20 წლისთავზე გადაინაცვლე მასთან. მოსიყვარულე გულმა ვერ დაიტია დარდი და სევდა, რომელსაც ამ ხნის მანძილზე დაატარებდი. 1 თებერვალს 59 წლის გახდი, ახსოვხარ შენს სკოლას ოქროსმედალოსანი, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს კი ჩინებული სტუდენტი, ასპირანტი, დოცენტი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუდენტებს კი კარგი ლექტორი...

ვამაყობდით შენით ძმა თამაზის, და მარინეს ოჯახები–დისშვილები და ძმისშვილები.

2009 წლის 20 ივნისს დამთავრდა მამაშენის სიცოცხლე, შენს შემდეგ მხოლოდ ვარსებობ, ესეც ჩემი ოჯახის, მამიდების, ბიძების, ჩემი დიდი კოლექტივის, მეზობლების, ნათესავ–ახლობლების დამსახურებაა. დღეებს ვითვლი (ნუ მიწყენს ჩემი ოჯახი), როდის ინებებს უფალი შენთან შემახვედროს...

ამდენი თანაგრძნობის და სულიერი თანადგომის გარეშე, ალბათ, ვერ გავუძლებდი ამ ტკივილს. ეს, შენ მაცოცხლებ ახლაც, რადგან ეს თანადგომაც შენი კეთილშობილების, მაღალი ზნეობისა და კარგი კაცობის დამსახურებაა. ვაი, იმ ოჯახს, ვინც შენისთანა შვილს კარგავს...

მეუღლე ნანა ლომაია, შვილები შორენა და თიკო, სიძე ლევანი აგრძელებენ შენს სიცოცხლეს, არდავიწყებისათვის ცოცხლობენ. ვაი, რომ პატარა შვილიშვილის ანა ჭელიძის დაბადებას ვერ მოესწარი, ის ახლა ორი წლის გახდება, მაგრამ იცის, რომ სურათიდან მისი სახელოვანი ბაბუ იმზირება...

მადლობა იმისთვის, რომ ასეთი კარგი იყავი, ისე იცხოვრე, რომ სიცოცხლეშივე უკვდავყავი შენი სახელი.

გვიყვარხარ და გვენატრები.

**ვაჟა შელიას ოჯახი.**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს მურმან შელიას დედის

**ნაუშა ქაცარავა–შელიას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხობის მოამბეს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჭირნახული ქალბატონის, კეთილშობილი, მშრომელი დედის

**ნაუშა ქაცარავა–შელიას**

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ საუკეთესოდ აღზრდილ შვილებს ნონა და მურად შელიებს.

შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებას" თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურმან შელიას დედის

**ნაუშა ქაცარავა–შელიას**

გარდაცვალების გამო

ხობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის მონაწილე

**დუნია ნანეიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

# I ივნისი-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე!

პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე არც ჩვენი მუნიციპალიტეტის მესვეურთ დავიწყებიათ. მართალია წინა წლებისაგან განსხვავებით დიდი ზარ-ზეიმით არ ჩაუვლია, მაგრამ ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზი.

ბაღებში მოეწყო შიდა ღონისძიებები; პირველი ბაღის არსაზრდელები მეორე ბაღელებს სტუმრობდნენ, ეროვნულ ფორმებში გამოწყობილი ლამაზი გოგო-ბიჭები საქართველოს დროშით ხელში ამაყად შემოვიდნენ დარბაზში, სადაც მათ „წითელქუდელებთან“ ერთად ლამაზი სანახაობა გამართეს.



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა, რომელიც იქ არსებული სტუდიების ბავშვებმა ჩაატარეს. ქალბატონი აზა თათარიშვილი უკვე წლებია რაც ამ სახლს ხელმძღვანელობს, ის ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ბავშვებს რაც შეიძლება მეტი ცოდნა შესძინოს. ბავშვები რომ კარგად მომზადებულები არიან, ამ დღემაც ცხადყოს. ცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყველა თაობის დეკლამატორები,–მარიამ შონია და გიგი ლოლუა, თამარ ხარამიშვილი და გიორგი ბერაია, მარიამ ბერაია და ელენე გერგაია, ნინო კაკულია და ელენე ვარდია. მათ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს დიდი ადამიანების გამონათქვამები ბავშვებზე, მე მხოლოდ ერთი ციტატით შემოვიფარგლები: „ბავშვი სათავეა, დასაწყისი დიდი ადამიანისა“–ამბობდა დიდი ილია.



რამოდენიმე წელია, რაც საქართველოს პრესა ბავშვთა უფლებათა კონვენციაზე მოგვითხრობს, ტელეგადაცემები კი სხვადასხვა კუთხით აშუქებენ ბავშვთა უფლებათა დეკლარაციებს. არც ეს დავიწყნიათ სცენაზე მდგომთ და ვრცლად განგვიმარტეს ბავშვის როლი და უფლებები საზოგადოებაში. თავისებურად მიესიყვარულნენ აფხაზეთიდან და ოსეთიდან დევნილ ბავშვებს და თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნება უსურვეს. ლექსი და სიმღერა ერთმანეთს ენაცვლებოდა, „ცეცხლი“ დაანთეს სცენაზე ანსამბლ „ლაზიკას“ მოცეკვავეებმა. ამ ანსამბლმა არაერთხელ ასახელა თავისი მუნიციპალიტეტი, ამ წლის მანძილზე სამი საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის ლაურიატია.

კონცერტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წევრები ესწრებოდნენ. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ ბავშვებს მიულოცა ეს ღირშესანიშნავი დღე, უსურვა წარმატებები და ნომინანტებს პრიზები გადასცა.

„წლის აღმოჩენა“ მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გოგონათა შორის ჭადრაკში, ხუთი წლის; დიანა ლომაია გახდა.

„ქართული ცეკვის ეშხი“–„ლაზიკას“ სოლისტი ვერიკო მიქიაშვილი.

„წლის წარმატებული გუნდი“–ნორჩ ჟურნალისტთა წრის გუნდი „ცოტნეიდელი“ დავით ქანთარია, გოგი ლოლუა, ლუკა ლოლუა, გიორგი ჭიჭინაძე, ზურაბ კალანდია, მარიამ შონია, მარიამ ბერაია.

ამ დღესთან დაკავშირებით მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში კიდევ ერთი კონკურსი ასფალტზე ხატვის კონკურსი ჩატარდა სათაურით–„ჩვენ მშვიდობის მტრედები ვართ“. კონკურსში მონაწილეობდნენ ხატვის წრის წევრები: ჟულიეტა კვიკვინია, ზურაბ პერტია, გიორგი წოწერია, რომეო ტოგონიძე, ლევან ბუსქანძე, ფრიდონ კვირიკაძე.

**კიდევ ერთხელ წარმატებები მინდა ვუსურვო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თითოეულ აღსაზრდელს, მის ხელმძღვანელს, კოლექტივს. მსურს სტატია ჩემთვის საყვარელი ფრაზით დავასრულო: *„ნელა მიიწევს ადამიანი ბავშვობიდან მომავლისაკენ. იყოს კეთილი შენი შარაგზა, ჯეჯილო, ნორჩო, იქეც ყანადა!“***

**ნინო გერგაია**

## მილოცვები

### შოთიკო თუთბერიძეს!



ხობის მოამბელები გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყველა ნატვრისა თუ ნაოცნებარის ახდენას.

ჩვენ, შენს მშობლებთან ერთად, თითოეული შენი წარმატებისა თუ სიხარულის თანაზიარნი ვართ.

შოთიკო, გვჯერა, სახელოვნად გაივლი სტუდენტობის დაუვიწყარ წლებს და იქნები საქართველოს ღირსეული მოქალაქე, შენს სიტყვას იტყვი საქვეყნო საქმეების წინსვლაში, როგორც ნიჭიერი, ინიციატივიანი და მებრძოლი სულის ახალგაზრდა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გლოცავთ და საუკეთესო სურვილებს გიძღვნით.

*გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები.*

### ლუკა ჯობავას!



ჩვენო პირველო სიხარულო, ჩვენო სიამაყევ! გილოცავთ დაბადების დღეს.

შვილო, უკვე დიდი ბიჭი ხარ, ჭკვიანი, ნიჭიერი, მოსიყვარულე და დამჯერე. მალე სკოლაში წახვალ. გვჯერა, შენით ვიამაყებთ და გავიხარებთ.

იყავი დღეგრძელი და მზეგრძელი შენს ძმა ირაკლისთან, ყველა შენს ახლობელთან და თანატოლთან ერთად. მუდამ უღრუბლო და მზიანი ცა გქონოდეთ.

*დიდი სიყვარულით დედიკო და მამიკო.*

### ანი იოსავას!

გილოცავ დაბადების დღეს! დაე, შენი ბავშვობა ლამაზი და უღრუბლო იყოს. გაიზარდე სასახელო და ყველასთვის საყვარელი, შენი ცხოვრების სავალი გზები მუდამჟამს სასურველი და მიზანმიმართული ყოფილიყოს.

ანი, ჩვენ შენ ყოველთვის ძალიან გვეყვარები, როგორც გოგის ლამაზი და საყვარელი ნათლული. დიდი სიყვარულით გეფერებით.

უფლის მადლი არ მოგკლებოდეს!

*ნანი კილასონია*

### ნინო ჩიხლაძეს!



ჩემო კუდრაჭავ, ჩემო საყვარელო ანცო გოგონავ, დაბადების დღეს გილოცავ! გაიზარდე ყველასათვის სასახელო, საამაყო. ყველაფერს ვიღონებთ, რომ შენი ბავშვობა ნანასთან და კუსუნასთან ერთად ყოფილიყოს ლაღი და ბედნიერი. თქვენ ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილები ხართ. მიყვარხართ!

*ნარგიზა ბებო.*

# ჩვეულებრივი ბიჭია მაგრამ...



ხობში ცხოვრობს, ერთი შეხედვით სიფრიფანა ბიჭი, რომელიც ჭკვიანია, კეთილია და უპრეტენზიო. ის ჰგავს და ამავდროულად განსხვავდება თავისი თანატოლებისაგან. სკოლაში დადის, ბეჯითია, გაკვეთილებს კარგად სწავლობს.

თითქოს ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, რომ არა ერთი რამ...

საჭადრაკო დაფასთან კი მისი უსასრულობის ლაბირინთებში მოქცეული ნათელი გონება საოცარ სიბრძნესა და სილამაზეს ჰქმნის და ეს ყველაფერი ჭადრაკია, რომელიც პატარა ლუკა შამუგიას სიცოცხლის დარად უყვარს.

***საჭადრაკო მიღწევები***

ლუკა თენგიზის ძე შამუგია (აფხაზეთიდან დევნილი, გალი) დაიბადა 2001 წლის 11 სექტრემბერს ქ. ხობში.

ჭადრაკში მეცადინეობა 2007 წელს ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჭადრაკის წრეში დაიწყო. უკვე 3 წელია ირიცხება ხობის სასპორტო სკოლის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდში (მწვრთნელი ეროვნული ოსტატი ირაკლი გეთია). არის საქართველოს 2011 წლის 10 წლიანთა ჩემპიონატის გამარჯვებული (I ლიგა), უმაღლეს ლიგაში კი თანაგუნდელ გიორგი ლატარიასთან ერთად იმ საუკეთესო 6 მოჭადრაკეთან შორის მოხვდა, რომლებიც ითვლებიან საქართველოს 10 წლიან მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრებად, რომელთაც შეუძლიათ 2011 წლის სექტემბერს ბულგარეთში „ზალატიე პესკიში“ ჩვენი გუნდის ღირსება დაიცვან.

2010 წელს მოიგო ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი, პირველ დაფაზე–პირველი ადგილი არის რაიონის 2010–2011 წლის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. საგულისხმო და ისტორიულია, რომ 9–10 წლის მოზარდი იგებს 18 წლამდე მოსწავლეთა ტურნირს, ე.ი 8–9 წლით უფროსებში.

ლუკა ეროვნული ტურნირების ფესტივალების და საკვალიფიკაციო ტურნირების გამარჯვებულია.

***შტრიხები პორტრეტიდან***

ჭადრაკში დედამ, ირმა ქურსუამ მოიყვანა. ძმა ლაშა შამუგიაც ჭადრაკის ცოდნას ეუფლებოდა, თუმცა შემდეგში წარმატებული მოჭიდავე გახდა, ლუკამ ძმისგან განსხვავებით ჭადრაკს უერთგულა და შედეგებით შორს წავიდა.

მწვრთნელს ირაკლი გერთიას მიაჩნია, რომ მიუხედავად ხანგრძლივი და მძიმე შრომისა, რაც მან ლუკა შამუგიას აღზრდაში ჩადო, გაუმართლა, რადგანაც ლუკას სახით ნიჭიერი და მიზანდასახული მოსწავლე შეახვედრა უფალმა. მისი აზრით, ლუკა არის იდეალი ნამდვილი მოჭადრაკისა, რომელზედაც მრავალი სახელოვანი მოჭადრაკის აღმზრდელი-მწვრთნელი წლების განმავლობაში ოცნებობდა. ის არა მარტო ნიჭიერი, არამედ თვინიერი ერთგულია მასწავლებლისა და იმ საქმისა, რომელიც მას ფანატიკურად უყვარს.

მისი საუკეთესო მეგობრები, მისი თანატოლები გიორგი ლატარია და დიმიტრი ლომაია არიან, რომლებთანაც ერთად ის თავისი ლამაზი დღეების უმეტეს ნაწილს ატარებს.

ლუკა თამაშობს მთელი არსებით. მისი სიცოცხლის მიზანი ჭადრაკია.

ნათელი, მზიანი, საჭადრაკო მიღწევებით წარმატებული იყოს ლუკას მომავალი.

**აზა თათარიშვილი**

## ფოტო განწყობისთვის




ხობში, ვარდო ზეზიასთან მიმიხარია




ზაფხულია, ცხელა, ცხელა!...


*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო. გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*

*სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე–ნატო ლომაია, თავმჯდომარის მოადგილე–ნანი კილასონია. რედაქტორი–მანანა შულაია, პასუხისმგებელი მდივანი–მერი ლაგვილავა, ნანა კემულარია, ნინო გერგაია, ლაშა ცატავა. კომპიუტერული უზრუნველყოფა ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81;
855-119-700
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით